პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 217 (5018) ოთხშაბათი, 22 სექტემბერი 1937 წ. ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ბოლშევიკურად ვემზადოთ უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის („პრავდის" მოწინავე)
სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობა (1-ლი გვ.)
საქ. ალკკ. თბილისის ორგანიზაციის XX კონფერენცია (1-ლი გვ.)
მექსიკის წარმომადგენლის გამოსვლა ერთა ლიგის პლენუმზე (მე-2 გვ.)
ესპანეთის საკითხი ერთა ლიგაში (მე-2 გვ.)
ჩან კაი-შის განცხადება (1-ლი გვ.)
ალ. საჯაია — გადაჭრით გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა (მე-2 გვ.)
ჩინეთის ავიაციის წარმატებანი (1-ლი გვ.)
ჩინეთის მთავრობის პროტესტი ამერიკის შეერთებულ შტატებს (1-ლი გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე (1-ლი გვ.)
ტ. აცანელი — მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის კადრები (მე-3 გვ.)
დ. ლომთაძე — გამარჯობა, თბილისო! (მე-4 გვ.)

ბოლშევიკურად ვემზადოთ უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის

ჩვენი სამშობლო დიდი მოვლენის წინაშეა — მალე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები იქნება. მუშები, კოლმეურნენი, მოსამსახურენი, წითელარმიელები ემზადებიან შეასრულონ თავისი მოქალაქეობრივი ვალი — მონაწილეობა მიიღონ სოციალისტური სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს არჩევნებში. მილიონობით მშრომელნი სწავლობენ „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას".

მოსკოვის, ლენინგრადის, გორკისა და ზოგიერთი სხვა სამრეწველო ცენტრის ქარხნებსა და ფაბრიკებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ათასობით აგიტატორები — კომუნისტები, კომკავშირელები, უპარტიო აქტივისტები — დეტალურად განმარტავენ საარჩევნო კანონის ყოველ პარაგრაფს. ათეულ ათასობით იქმნება წრეები ამ შესანიშნავი დოკუმენტის შესასწავლად. მოსკოვის შვიდ უდიდეს საწარმოში შექმნილია 2.056 ასეთი წრე. მათში საარჩევნო კანონს 33 ათასი მუშა და მოსამსახურე სწავლობს. ლენინგრადის მარტო ვოლოდარსკის რაიონში მოწყობილია 600-მდე წრე „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" შესასწავლად. მაგრამ პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობის ეს გაქანებაც კი აშკარად ჩამორჩება იმ კოლოსალურ ინტერესს, რომელსაც მუშები, მოსამსახურენი და ყველა მშრომელნი იჩენენ უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნებისადმი.

საარჩევნო კანონის პროპაგანდამ ამოძრავა, გამოაცოცხლა პოლიტიკური აგიტაციის მთელი სისტემა. ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები — პროფკავშირები, კომკავშირი — მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს პოულობენ. აგიტატორები, რომელნიც უკანასკნელ დრომდე თავის საქმიანობას საწარმოს კედლებით ზღუდავდნენ, ახლა მიდიან კლუბებში, საბინაო-საიჯარო კოოპ. ამხანაგობებში, საერთო საცხოვრებლებში. მოსახლეობის მნიშვნელოვანი წრეები, რომელნიც იმყოფებოდნენ პარტიული ორგანიზაციების სისტემატური ზეგავლენის გარეშე, ხშირად გამორჩენილი იყვნენ ხოლმე მათი მხედველობის არედან, როგორიც, მაგალითად, შინამრეწველნი, დიასახლისები, კომუნალური მეურნეობის წვრილ საწარმოთა მუშაკები, პენსიონერები, ამჟამად აგიტატორთა და პროპაგანდისტთა საქმიანობის სფეროში ებმებიან. მოსკოვის სტალინის რაიკომმა თავისი რაიონის საბინაო-საიჯარო კოოპ. ამხანაგობებში 2.500 აგიტატორი და მესაუბრე გაგზავნა.

უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნებისადმი კოლოსალურ ინტერესს იჩენს გლეხობა. ყოველ ბოლშევიკურ სიტყვას კოლმეურნენი და კოლმეურნე-ქალები განსაკუთრებული ყურადღებით ისმენენ. მაგრამ არჩევნებისათვის მზადება სოფლად დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს. მაგალითად, ვორონეჟის ოლქში ბევრ რიგით კოლმეურნესა და კოლმეურნე-ქალს, მთელ ბრიგადებს არაფერი არ გაუგონიათ საარჩევნო კანონზე. უკეთესი მდგომარეობა არც კუიბიშევის ოლქის კინელის, ნოვოდევიჩიეს, სერგიევსკისა და პრივოლჟიეს რაიონებშია. უნდა აღინიშნოს პარტიის მოსკოვის კომიტეტის ინიციატივა — მან ფართოდ გაშალა ახალი საარჩევნო კანონის შესწავლა სოფლის აქტივში და რიგით კოლმეურნეებში. ოლქის 69 სასოფლო-სამეურნეო რაიონში 10-დღიურ კურსებზე მომზადებულ იქნა 3.400 აგიტატორი. სოფლის 4.000 მასწავლებელმა მოისმინა მოსკოვში ლექციების ციკლი საარჩევნო კანონის შესახებ და მათ გაეწიათ ინსტრუქტაჟი, თუ როგორ უნდა აწარმოონ ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტის პროპაგანდა. მოსკოვის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ კოლმეურნეობებში 200 საუკეთესო თავისი პროპაგანდისტი გაგზავნა. მათს შერჩევას პირადად ახდენდნენ რაიკომების მდივნები, ხოლო ინსტრუქტაჟს უწევდა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი.

უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნები—ეს არის მოვლენა, რომელიც აპირობებს მობრუნებას ჩვენი ქვეყნის მთელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. საარჩევნო კამპანია, რამდენადაც მასში მონაწილეობას მიიღებენ უკლებლივ ყველა მოქალაქენი, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ, ყველაზე ფართო, ყველაზე დიდი პოლიტიკური კამპანია იქნება რევოლუციის მთელი წლების მანძილზე. აქედან ცხადია, რომ მოსამზადებელი მუშაობის გაქანებამაც, პოლიტიკური აგიტაციის მასშტაბებმა და მასში მოსახლეობის ჩაბმამ უნდა გადააჭარბოს ყოველივეს, რაც კი დღემდე ვიცოდით. არ არის და არ შეიძლება იყოს არცერთი კომუნისტი, კომკავშირელი, არაპარტიული ბოლშევიკი, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა არ მიიღონ არჩევნების მზადებაში. მილიონობით ორგანიზატორები, აგიტატორები, პროპაგანდისტები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უნდა ამზადებდნენ ხალხს მომავალი საარჩევნო კამპანიისათვის.

ჩვენს პრესას, ბოლშევიკური გაზეთების მრავალათასიან არმიას საარჩევნო კამპანიისათვის მზადება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. ბუნებაში არ არსებობს პარტიასა და ხალხს შორის სულიერი კავშირის გაბმის სხვა ასეთი მოქნილი აპარატი, სხვა ესოდენ მძლავრი საშუალებანი. არ არსებობს მასების ორგანიზაციის, პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის ამაზე უფრო მძლავრი იარაღი. ჩვენმა გაზეთებმა არა მარტო უნდა დაიყვანონ ყოველი მშრომელის შეგნებამდე პარტიის ლოზუნგები, არამედ თავის მხრითაც უნდა აცნობებდნენ პარტიას, მის სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს მოსახლეობის ყოველი, თუნდაც სულ მცირერიცხოვანი ფენის საჭიროებებს, მოთხოვნილებებს, განწყობილებებს. სამწუხაროდ, გაზეთების უმრავლესობამ ჯერ კიდევ ვერ გაიგო თავისი როლი არჩევნებისათვის ხალხის მომზადებაში. ისინი ვერც კი ამჩნევენ უდიდეს ნაკლოვანებებსა და დამახინჯებებს მოსამზადებელ და პირველ რიგში ახსნა-განმარტებითს მუშაობაში.

სააგიტაციო მუშაობის შინაარსი ხშირად მეტად განყენებულ ხასიათს ატარებს და სრულიად არ არის დაკავშირებული საბჭოთა ორგანიზაციების მიმდინარე მუშაობასთან. ბევრ აგიტატორს არ შესწევს უნარი მოგვითხროს იმ კოლოსალურ მუშაობაზე, რომელიც პარტიამ და მთავრობამ გასწიეს და რომელსაც ეწევიან ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მატერიალური, საყოფაცხოვრებო და კულტურული კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ციფრებითა და ფაქტებით დაასურათოს ეს მუშაობა. როგორ შეიძლება ხალხში პოლიტიკური აგიტაციის გაწევა, თუ არ ვუჩვენებთ სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელ ზრუნვას ხალხის საჭიროებებზე! ახლა, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი აღმავლობითა და აღფრთოვანებით ავლებს თვალს განვლილ 20-წლიან გზას, ყოველი აგიტატორის განკარგულებაში უხვად არის ფაქტები, ილუსტრაციები, იმის დასამტკიცებელი საბუთები, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, მხოლოდ ბოლშევიკებს მიჰყავდათ და მიჰყავთ ხალხი ბედნიერებისაკენ.

საარჩევნო კანონის განმარტებისას აგიტატორები ხშირად გვერდს უვლიან მშრომელთა კონკრეტულ კრიტიკულ მითითებებს, რომლებიც შეეხება სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებების მიმდინარე მუშაობას, ყურს არ უგდებენ და არ ეხმაურებიან სერიოზულ სიგნალებს. აგიტატორი, პარტიული თუ არაპარტიული ბოლშევიკი, ვერ განიხილავს თავის საქმიანობას, როგორც ლექტორი ან მოქადაგე. ჩვენი აგიტაცია — ქმედითი ინსტრუმენტია პარტიის ხელში, ხალხთან კავშირის ერთერთი საუცხოო ფორმაა. მაშასადამე, აგიტატორი არა მარტო თვითონ უნდა ისწრაფოდეს, რომ მისი სიტყვა აღწევდეს აუდიტორიამდე, არამედ თავის მხრივაც მოვალეა გულისხმიერად მიუგდოს ყური, თუ რას ლაპარაკობენ, რას უჩივიან.

მხოლოდ პოლიტიკურ გონებაჩლუნგს შეუძლიან იფიქროს, რომ საარჩევნო კამპანია, ისევე როგორც მისთვის მზადება, ჩაივლის ისე, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრები გაცოფებით არ შეეცდებიან ავნონ, ზიანი მიაყენონ ჩვენს სამშობლოს. განადგურებული და პოლიტიკური ასპარეზიდან გასული პარტიების — მენშევიკების, ესერების ნაშთები და ფაშიზმის ტროცკისტ - ბუხარინელი აგენტები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, მთელი ეს სიბილწე, რომელიც სძულს ხალხს, ისწრაფის ჩაშალოს არჩევნებისათვის მზადების წარმატება.

ჩვენ ვერ შეგვაშინებენ ეს საძაგელი, საზიზღარი მოღალატეები! არავითარი დასაყრდენი მათ ხალხში არა აქვთ და ისინი საბოლოოდ იქნებიან განადგურებულნი. მაგრამ გამჭრიახობა, სიფხიზლე, სიფრთხილე ახლა, არჩევნებისათვის მზადების დღეებში და თვით საარჩევნო კამპანიის პერიოდში, — აი ის თვისებანი, ურომლისოდაც რევოლუციის 20 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი პოლიტიკური კამპანიის ჩატარება არ შეიძლება იმ დონით, რომელსაც მოითხოვს პარტია, მოითხოვს სტალინური ცენტრალური კომიტეტი.

„პრავდის" მოწინავე, 18/IX.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ბენეშის დეპეშა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კალინინისადმი

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა მეგობრული თანაგრძნობისათვის, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ ჩვენი უდიდესი მწუხარების წუთებში.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი უერთდება ჩემს გულწრფელ მადლობას სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ხალხებისადმი და დიდად აფასებს მეგობრობის გრძნობის გამოჩენას ჩვენი ღრმა მწუხარების დროს.

ედუარდ ბენეში.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩან კაი-შის განცხადება

პარიზი, 20 სექტემბერი (საქდესი). „პარი სუარმა" გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელიც ჩან კაი-შიმ გაზეთის ნანკინელ კორესპონდენტს მისცა. თავის ინტერვიუში ჩან კაი-ში აცხადებს, რომ „ახლანდელი საომარი მოქმედება იაპონიის მხეცური და წინასწარ განზრახული აგრესიაა ჩინეთში. ჩვენ სხვა არჩევანი არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ დავიცვათ ჩვენი ნაციონალური არსებობა ქვეყნის ყველა რესურსის მობილიზაციის გზით. შანხაიში, ისე როგორც ჩრდილო ჩინეთში, საომარი მოქმედება გააჩაღეს ჩვენს ტერიტორიაზე მოზღვავებულმა იაპონელთა ჯარებმა. ჩვენ ხელს არ ავიღებთ ბრძოლაზე მანამდე, სანამ იაპონელები უარს არ იტყვიან აგრესიების პოლიტიკაზე და არ დასტოვებენ ჩვენს მიწა-წყალს".

ჩან კაი-შიმ განაცხადა, რომ იგი ნდობით ეპყრობა ერთა ლიგას, ამასთან აღნიშნა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა სწრაფად უნდა იმოქმედონ ჩინეთის მიმართ იაპონელთა აგრესიის საკითხში.

ჩინეთის ავიაციის წარმატებანი

შანხაი, 19 სექტემბერი (საქდესი). 19 სექტემბერს ღამით ჩინეთის თვითმფრინავებმა ექვსჯერ მოახდინეს თავდასხმები იაპონელთა ხომალდებზე მდინარე ვანპუში და იაპონელთა სამხედრო ბაზაზე იანძიპუს რაიონში. რამდენიმე ყუმბარა დაეცა იაპონელთა სამხედრო საწყობების რაიონში, სადაც ხანძარი გაჩნდა. იაპონელთა საზენიტო არტილერია განუწყვეტლივ უშენდა ყუმბარებს ჩინეთის თვითმფრინავებს. ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ჩინელი მფრინავების გაბედულმა გაფრენებმა მოსახლეობაში აღტაცება გამოიწვიეს. ხალხის მასები ნაშუაღამევამდე სახურავებიდან თვალყურს ადევნებდნენ ღამის ბრძოლების მსვლელობას.

ჩინელთა ცნობებით, 18 სექტემბერს დილით იაპონელთა ნაწილებმა, როცა მათ დიდი დამხმარე ძალები მოუვიდათ, კვლავ ხელთ იგდეს ლოდიანი. 18 სექტემბერს მთელ დღეს ამ რაიონში ბრძოლები ხდებოდა.

უცხოელთა წრეებში ამტკიცებენ, რომ შანხაიში ჩამოვიდა 9 ათასი იაპონელი მუშა სამხედრო მნიშვნელობის სამუშაოთა საწარმოებლად.

19 სექტემბერს დილით იაპონელთა 21 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ნანკინის რადიოსადგურსა და წყალსადენ სადგურს. სადგურები არ დაზიანებულა. ჩამოაგდეს იაპონელთა 4 თვითმფრინავი. დღისით იაპონელთა თვითმფრინავებმა ხელმეორედ დაუშინეს ყუმბარები ნანკინს. დაწვრილებითი ცნობები არ არის.

ნანკინის მომავალი ბომბარდირებისათვის

ლონდონი, 20 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისისა და საფრანგეთის აზიური ესკადრების სარდლებმა ადმირალმა ლიტლმა და ლებიგომ 20 სექტემბერს კატეგორიულად უარჰყვეს იაპონელთა თხოვნა გაეყვანათ ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო გემები ნანკინიდან მდინარე იანციზე ზევით, იაპონელთა სარდლობის განზრახვასთან დაკავშირებით, რომ 21 სექტემბერს დაიწყოს ნანკინის გაძლიერებული ბომბარდირება. ამ თხოვნით მიმართა იაპონელმა ადმირალმა ჰასეგავამ, რომელმაც გააფრთხილა უცხოეთის წარმომადგენლები ნანკინის მომავალი ბომბარდირების თაობაზე.

ინგლისისა და საფრანგეთის სარდლებმა მიუთითეს ჰასეგავას, რომ იაპონელ ხელისუფალთ დაეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა ინგლისის, ან საფრანგეთის ყოველი ქვეშევრდომის მოკვლისა და დაჭრისათვის იაპონიის ავიაციის ნანკინზე თავდასხმის დროს.

ჩინეთის მთავრობის პროტესტი

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი (საქდესი). ჩინეთის ელჩმა ა. შ. შტატებში ვან ჯენ-ტინმა ინახულა სახელმწიფო მდივანი (გარეშე საქმეთა მინისტრი) ჰელი და განუცხადა მას პროტესტი რუზველტის მიერ ჩინეთსა და იაპონიაში იარაღის შეტანის ნაწილობრივად აკრძალვის გამო. ვან ჯენ-ტინმა მიუთითა, რომ ეს ჩინეთს აყენებს არა ხელსაყრელ მდგომარეობაში, ვინაიდან სამხედრო მასალების მომარაგებაში ჩინეთი უმთავრესად დამოკიდებულია საზღვარგარეთზე მაშინ, როდესაც იაპონია თვითონ ამზადებს ამ მასალებს.

იაპონელთა ავიაციის დანაკლისი

ტოკიო, 20 სექტემბერი (საქდესი). საზღვაო სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 19 სექტემბერს ჩინელთა ჯარებმა მდინარე იანძიზე ჩამოაგდეს იაპონელთა კიდევ ერთი საზღვაო თვითმფრინავი, რომელიც მონაწილეობდა ნანკინის ბომბარდირებაში, ამგვარად, თავდასხმის განმავლობაში საზღვაო ავიაციამ დაჰკარგა 4 თვითმფრინავი.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპეშათა სააგენტოს ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

19 სექტემბერს განთიადისას მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს სოფელ ვედადო დე სუერაზე. რესპუბლიკელებმა მოიგერიეს იერიში და აიძულეს მოწინააღმდეგე გაქცეულიყო; მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა.

სუერის სექტორში რესპუბლიკელებმა, მოუარეს რა მოწინააღმდეგეს ზურგში, ნაღმები ჩაჰყარეს სხვადასხვა უბნებზე.

აფეთქებამ, რაც შემდეგ მოხდა, დიდი ზარალი მიაყენა მეამბოხეებს. აფეთქებათა განმეორების თავიდან ასაცდენად მეამბოხეთა სარდლობამ გასცა ბრძანება წყლით დაფარონ რკინიგზის სადგური სუერა და მისი ახლომახლო ადგილი.

რესპუბლიკელთა ჯარებმა სუერის მიდამოებში სწრაფი, მეამბოხეთათვის მოულოდნელი იერიშით აიღეს ბორცვი, საიდანაც შეუძლიათ სროლა აუტეხონ მეამბოხეთა სიმაგრეების უმეტეს ნაწილს ამ რაიონში. მეამბოხეები უწესრიგოდ გაიქცნენ და ბრძოლის ველზე მრავალი მოკლული დასტოვეს.

ლიანესის სექტორში ფაშისტთა 40 თვითმფრინავი გაძლიერებით უშენდა ყუმბარებს რესპუბლიკელთა პოზიციებს პონას ბლანკასის სანაპიროზე. ავიაციის მოქმედებას მხარი დაუჭირა მეამბოხეთა არტილერიამ. მომზადების შემდეგ მეამბოხეთა ჯარებმა ორჯერ მიიტანეს იერიში რესპუბლიკელთა პოზიციებზე, მაგრამ ისინი ორივეჯერ უკუაქციეს და აიძულეს დაბრუნებოდნენ პირვანდელ პოზიციებს. მეამბოხეებმა მრავალი მოკლული დასტოვეს ბრძოლის ველზე.

სამხრეთის ფრონტი

19 სექტემბერს საღამოს რესპუბლიკელებმა დაიკავეს მეამბოხეთა პოზიცია სერო მულევასთან. მეამბოხეთა გააფთრებულმა კონტრიერიშმა აიძულა მთავრობის ჯარები ცოტა უკან დაეხიათ, მაგრამ უკანასკნელთ უკავიათ ისეთი პოზიციები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ მათ ფრთებზე.

ცენტრალური ფრონტი

19 სექტემბერს დილით რესპუბლიკელებმა ააფეთქეს ორი ნაღმი ჰოსპიტალ-კლინიკასა და საუნივერსიტეტო უბნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მეამბოხეთა ავანპოსტებს შუა. მეამბოხეებმა, რომელთაც მოულოდნელად დაესხნენ თავს, ასტეხეს სროლა. სროლა ერთ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

ავიაციის მოქმედება

რესპუბლიკელთა ავიაცია ყუმბარებს უშენდა როსასის ბუხტს და კრაუსის კონცხის განედზე მეამბოხეთა კრეისერ „კანარიასს", რომელიც სწრაფად უკუიქცა.

რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა მთელი რიგი საზვერავი ფრენა მოაწყეს ხიხონთან, მოაწყეს აგრეთვე მთელი რიგი ფრენა ზღვაზე და ყუმბარები დაუშინეს მეამბოხეთა რამდენიმე გემს. გემები უკუაქციეს.

საბჭოთა კავშირში

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახლ-მუზეუმში

კუიბიშევი, 21 სექტემბერი (საქდესი). ჩვენი სამშობლოს ყოველი მხრიდან ჩამოდიან მშრომელნი ულიანოვსკში, რათა ნახონ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახლ-მუზეუმი.

ყოველდღე აქ მოდის სამასზე მეტი ექსკურსანტი. მარტო აგვისტოს განმავლობაში იყო დაახლოვებით 11 ათასი კაცი.

სახლ-მუზეუმის გახსნის დღიდან იგი ინახულა 680 უცხოელმა ტურისტმა, მათ შორის იყვნენ გერმანიის, დანიის, ავსტრია-უნგრეთისა და სხვა ქვეყნების მუშები.

წელს მუზეუმმა შეიძინა ახალი ექსპონატები, მარიამ ილიას-ასულმა ულიანოვამ გადასცა ნეკრასოვის ლექსთა პატარა ტომი, გამოცემული 1863 წელს, რაც ეკუთვნოდა ლენინის მამას — ილია ნიკოლოზის-ძეს, და ქრესტომატია „რუსი პოეტების ბიოგრაფიებისა და ნიმუშების მიხედვით". ეს ქრესტომატია კარგი სწავლისათვის საჩუქრად მიიღო ვლადიმერ ილიას-ძის დამ — ოლგა ილიას-ასულმა, როცა იგი იყო სიმბირსკის ქალთა გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფე.

მეორე სრულიად-საკავშირო კონფერენცია ატომის ბირთვის შესწავლისათვის

მოსკოვი, 21 სექტემბერი (საქდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში 20 სექტემბერს გაიხსნა მეორე სრულიად-საკავშირო კონფერენცია ატომის ბირთვის შესწავლის საკითხებზე.

ატომის ბირთვის შესწავლა თანამედროვე ფიზიკის ცენტრალურ პროგრამას წარმოადგენს. მას არა მარტო თეორიული, არამედ აგრეთვე დიდი პრაქტიკული ინტერესი აქვს.

თავის შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. ი. მ. გუბკინმა გამოსთქვა რწმენა, რომ კონფერენციის წინაშე დასახული ამოცანები მაქსიმალური სისრულით იქნება გაშუქებული და საგრძნობლად წინ წასწევს მეცნიერებას ატომის ბირთვის შესახებ.

— ფიზიკის ასეთი მნიშვნელოვანი დარგის შემდგომი გაფურჩქვნა,— განაცხადა აკადემიკოსმა გუბკინმა, — უზრუნველყოფილია იმ განსაკუთრებული ყურადღებით, რასაც საბჭოთა მთავრობა მუდამ აპყრობს მეცნიერული აზრის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ აკად. ა. ფ. იოფემ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირველი კონფერენციის შემდეგ განვლილი 4 წლის მანძილზე საბჭოთა მეცნიერებს დიდი მიღწევები აქვთ ატომის ბირთვის შესწავლის სფეროში. წარსულ კონფერენციაზე იყო 60 მონაწილე. მათ შორის ატომის ბირთვის პრობლემაზე უშუალოდ მუშაობდა არა უმეტეს 30 კაცისა, ამჟამად კონფერენციაზე მოწვეულია 250 მონაწილე, მათგან 150 მუშაობს ატომის ბირთვის შესწავლაზე.

კონფერენციამ მოისმინა ხარკოვის ფიზიკურ - ტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული თანამშრომლის კ. სინელნიკოვის მოხსენება ელექტროსტატიკურ გენერატორისა და მაღალწნევიანი მილაკის შესახებ და პროფესორ ი. მ. ფრანკის მოხსენება სწრაფი ელექტრონების ზემოქმედებით სუფთა სითხეების ნათების შესახებ.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვისადმი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ უცხოელი მეცნიერები პაიერლსი და ვილიამსი (ინგლისი), ოჟე (საფრანგეთი) და პაული (შვეიცარია).

გაფრენა დასაზვერად

19 სექტემბერს შუადღისას რუდოლფის კუნძულზე კარგი ამინდი დაიჭირა. საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შეველიოვის ექსპედიციის მონაწილეებმა დაიწყეს მზადება გაფრენისათვის. წინა დღეღამეების განმავლობაში მათი თვითმფრინავი ყინულის მთლიანი სქელი ფენით დაიფარა.

ექსპედიციის სინოპტიკოსის ამხ. ძერძეევსკის აზრით, საერთო მდგომარეობა არახელსაყრელი იყო. ცენტრალური პოლარული ბასეინი ნისლით იყო დაფარული. ამას მოწმობდა ცნობები, მიღებული საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. პაპანინისაგან „ჩრდილოეთის პოლუსის" სადგურიდან.

— გადავწყვიტეთ დავიცადოთ 20 სექტემბრის დილამდე, — რადიოთი აუწყებს ამხ. შეველიოვი ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს უფროსს ამხ. ო. ი. შმიდტს. — 20 სექტემბერს დილით გადავწყვიტეთ გავსულიყავით. 6 საათსა და 15 წუთზე საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. მაზურუკის თვითმფრინავი „ნ-169", რომელზედაც იმყოფებოდა ამხ. ძერძეევსკი, გაფრინდა საზვერავად. ორი საათის შემდეგ უნდა გაფრენილიყვნენ ექსპედიციის სხვა თვითმფრინავებიც.

ჩრდილო განედის 83 გრადუსზე ამხ. მაზურუკი წააწყდა ნისლს. ჩრდილოეთით ნისლი შემკვრივდა, გაჩნდა მაღალი ღრუბლიანობა. ჩრდილო განედის 84 გრადუსსა და 35 წუთზე ღრუბლების ფრონტი დაბლა მოიწევდა და ნისლს უერთდებოდა. არც ზემოთ, არც ქვემოთ არ შეიძლებოდა ამ ფრონტის შემოვლა. ღრუბლებში გზის გაკვლევა ძალზე დატვირთული მანქანების ძლიერი ქანაობის დროს სახიფათო იყო. მთელი ექსპედიციის გაფრენა გადაიდო. ამხ. მაზურუკი დაბრუნდა რუდოლფის კუნძულზე, სადაც უვნებლად დაეშვა (საქდესი).



ამხ. ტ. გოლუბევი
თბილისის წყალსადენის მშენებლობის სტახანოველი

დიდი სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავისათვის

1917 წ. 21 (8) სექტემბერი

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის ბოლშევიკური პრეზიდიუმის არჩევა.

25—27 (12—14) სექტემბერს ლენინი სწერდა:

„მიიღეს რა უმეტესობა ორივე დედაქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში, ბოლშევიკებს შეუძლიათ და კიდეც უნდა აიღონ სახელმწიფო ძალა-უფლება თავიანთ ხელში".

(ლენინი ტ. XXV, გვ. 193).

1917 წ. 23 (10) სექტემბერი

გაიხსნა ფინეთის საბჭოთა III საოლქო ყრილობა, რომელიც ჩატარდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. 1917 წლ. 23—27 (10—14) სექტემბერს ლენინი სწერს ბროშურას „კატასტროფის მოქარა და როგორ ვებრძოლოთ მას".

ფაბ.-ქარხ. კომიტეტთა პეტროგრადის მე-3 კონფერენციამ გამოიტანა პროტესტი დემოკრატიული თათბირის გაყალბების წინააღმდეგ და მოითხოვა, რათა ზავის წინადადება მიეცათ ყველა ხალხისათვის, დაუყოვნებლივ გაეუქმებინათ კერძო საკუთრება მემამულეთა, სამონასტრო და საეკლესიო მიწებზე და დამფუძნებელ კრებამდე გადაეცათ ისინი გამოუსყიდველად საადგილმამულო კომიტეტების გამგებლობაში, უზრუნველეყოთ რა უღარიბესი გლეხები ინვენტარით, მოეწყოთ მუშათა კონტროლი წარმოებასა და განაწილებაზე, და შეუბრალებლად დაებეგრათ მსხვილი კაპიტალები და მოეხდინათ სამხედრო მოგებათა კონფისკაცია.

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობა

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საბაჟოების მთავარი საბაჟო სამმართველოს მონაცემებით, საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა 1937 წლის იანვარ-აგვისტოში შეადგენს 1.929,2 მილიონ მანეთს — 163,7 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე გასული წლის იმავე თვეებში. საზღვარგარეთ გატანილია 1.016.6 მილიონი მანეთის საქონელი, შემოტანილია 912,6 მილიონი მანეთის საქონელი (რამიაც შედის მიწოდებანი საკრედიტო შეთანხმებათა და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზისათვის კუთვნილ გადასახდელთა ანგარიშში).

მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში 1936 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, კერძოდ, გაიზარდა ბამბის ექსპორტი 41,2 მილიონი მანეთით, ხე-ტყის მასალისა — 28.1 მილიონი მანეთით, ავტოტრანსპორტისა — 15,9 მილიონი მანეთით, მარგანეცისა — 1,3 მილიონი მანეთით, სასუქისა — 8,5 მილიონი მანეთით, მანქანებისა—8,4 მილიონი მანეთით, ბეწვეულისა—6,8 მილიონი მანეთით, ელექტრომანქანების და მათი ნაწილებისა — 1,3 მილიონი მანეთით.

იმავე ხნის განმავლობაში გაიზარდა (გასულ წელთან შედარებით) ფერადი ლითონების, ცხვრის მატყლისა და კაუჩუკის იმპორტი. შემცირდა მანქანების იმპორტი 55,4 მილიონი მანეთით, შავი ლითონებისა — 22,5 მილიონი მანეთით, ბეწვეულისა — 11,7 მილიონი მანეთით, ელექტრომანქანებისა და მათი ნაწილებისა — 9,9 მილიონი მანეთით, გემებისა — 8,9 მილიონი მანეთით, შავი ლითონის საწარმოო მნიშვნელობის ნაწარმთა — 4.9 მილიონი მან., ზუსტი მექანიკის საგნებისა — 4,5 მილიონი მან., ქიმიური პროდუქტებისა 4,3 მილიონი მანეთით.

სსრ კავშირის საერთო ექსპორტში 1937 წლის იანვარ-აგვისტოს განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო საქონელი შეადგენს 25,3 პროცენტს, ხოლო სამრეწველო — 74,7 პროცენტს. სსრ კავშირის საერთო იმპორტში 92,7 პროცენტს შეადგენს საწარმოო დანიშნულების საქონელი და 7,3 პროცენტს — სამომხმარებლო დანიშნულების საქონელი.

ცალკეულ ქვეყნებთან სსრ კავშირის სავაჭრო ბრუნვის ოდენობის მხრივ 1937 წლის იანვარ-აგვისტოში პირველი ადგილი უკავია დიდ ბრიტანეთს, მეორე — ამერიკის შეერთებულ შტატებს.

საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის XX კონფერენცია

(მეორე სხდომა)

21 სექტემბერს, საღამოს, კონფერენციის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. თევდორაძის მოხსენება, რის შემდეგ გაიმართა კამათი საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. შ. გუდავაძის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: მამულაშვილმა (სტალინის სახ. ორთქლმავალ - ვაგონების შემკ. ქარხანა), აივაზოვმა (26 კომისრის სახ. ქარხანა), კიკნაველიძემ (ტრამვაი), ზაქარეიშვილმა, თევზაძემ (ლენრაიკომი), პაიჭაძემ (სტალინის რაიკომი), ორდინიძემ (თბილისის კომიტეტი) და სხვ. კამათში გამოვიდა სულ 15 ამხანაგი.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ საქ. ალკკ თბილისის კომიტეტისა და რაიკომების მიერ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების სუსტ ხელმძღვანელობას. მიუთითებდნენ კომკავშირის პოლიტსწავლების მთელ რიგ დეფექტებზე, კომკავშირის ზოგიერთ წევრებში კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებაზე და სხვ. კამათში გამოსული ამხანაგები გაბრიჩიძე, კიკნაველიძე და სხვ. აღნიშნავდნენ, რომ ძლიერ სუსტად არის დაყენებული პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა (ორჯონიკიძის რაიონი). პროპაგანდისტები პროპსემინარების გაუვლელად მოდიან პოლიტმეცადინეობაზე (ტრამვაი).

კონფერენციის მეორე სხდომა დამთავრდა ღამის 11 საათზე. მორიგი სხდომა შესდგება დღეს საღამოს 7 საათზე.

ფრანკოს თავხედური „ნოტა" ბრიტანეთის მთავრობას

ლონდონი, 20 სექტემბერი (ტელეგრაფით „იზვესტიის" საკ. კორესპონდენტისაგან). (საქდესი). ფრანკომ ბრიტანეთის მთავრობას გაუგზავნა „ნოტა", რომელშიაც მოითხოვს მიენიჭოს მას უფლება იყოლიოს ორი კონსული ინგლისში: ერთი ლონდონში, მეორე — საუთჰემპტონში. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნა, იგი იმუქრება, რომ განდევნის ინგლისის სამ კონსულს, რომელნიც მეამბოხეთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე იმყოფებიან.

ჯენკინსი.

მექსიკის წარმომადგენლის გამოსვლა ერთა ლიგის პლენუმზე

ჟენევა, 20 სექტემბერი (საქტესი). საბჭოს არჩევნების შემდეგ გაგრძელდა კამათი გენერალური მდივნის მოხსენების გამო. კამათში გამოვიდა მექსიკის დელეგატი ფაბელა, რომელმაც დაახასიათა ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, როგორც ისეთი „ვითარება, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებანი ირღვევა, ერთა ლიგის პაქტი აშკარად იხევა ნაგლეჯებად და აშკარად უარყოფილია კაცობრიობის უფლების ფრიად ძველი პრინციპები, რომლებიც საყოველთაო აღიარებით სარგებლობენ".

მექსიკის დელეგაცია, განაცხადა ფაბელამ, ჰფიქრობს, რომ ერთა ლიგამ ამჯერად უნდა აამოძრაოს მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება, რათა მიაღწიოს ომის შეწყვეტას ერთა ლიგის წევრის ჩინეთის წინააღმდეგ. აღნიშნა რა შემდეგ, რომ ლიგას არ გამოუყენებია ყველა შესაძლებლობა ესპანეთის საკითხში, ფაბელამ განაცხადა, რომ მექსიკის მთავრობა ესპანეთის ამბოხების დაწყებიდანვე ადგას მტკიცე პოლიტიკას, აღმოუჩინოს ესპანეთის კანონიერ ხელისუფლებას არა მარტო მორალური დახმარება, არამედ შეძლებისდაგვარად მატერიალურიც.

ფაბელამ მკაცრად გააკრიტიკა ლონდონის ჩაურევლობის კომიტეტი, აღნიშნა რა, რომ კომიტეტმა ვერ შესძლო თავიდან აეცდინა ის გარემოება, რომ „მეამბოხეები დღემდე ღებულობენ საჭურველს, და რომ უცხოეთის დიდი არმიები თავისუფლად დათარეშობენ ესპანეთის ტერიტორიაზე".

ხაზი გაუსვა რა, რომ ლიგა მოვალეა დაეხმაროს ესპანეთის კანონიერ მთავრობას, ფაბელამ განაცხადა, მექსიკა „არა მარტო იწონებს განუყოფელი მშვიდობიანობის თეორიას, არამედ მას მტკიცედ სწამს, რომ მშვიდობიანობის დახმარებასა და აღდგენაში ყველა სახელმწიფო არის დაინტერესებული".

სხდომის დასასრულს პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, შემოტანილი ესპანეთის დელეგაციის მიერ, რათა გენერალური მდივნის მოხსენების ნაწილი, რომელიც ეხება ესპანეთს, გადაეცეს მეექვსე (პოლიტიკურ) კომისიას.



თბილისის ქაღალდის ფაბრიკა

სურათზე: ქაღალდის დიდი მანქანა, რომელიც დღეღამეში 13 ტონა ქაღალდს ამზადებს.

ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

დანაშაულებრივი უდარდელობა საშემოდგომო ხვნა-თესვაში

(„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

გორის რაიონში ამ შემოდგომაზე 19.300 ჰექტარი ხორბალი და ქერი უნდა დაითესოს. თესვა უკვე დაიწყო, მაგრამ იგი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. 16 სექტემბრისათვის თესვის გეგმა მხოლოდ 10,8 პროცენტით იყო შესრულებული. კერძოდ ქვეშის, დიცის, გორის, ხიდისთავის, ბნავისის, ქახვრელის, ატენის და ზემო-ახალსოფლის სასოფლო საბჭოებში ამ რიცხვისათვის არცერთი ჰექტარი არ იყო დათესილი. ხელთუბნის სოფსაბჭოს 701 ჰექტარიდან დათესილი ჰქონდა მხოლოდ 8 ჰექტარი, ტყვიავისას—835 ჰექტარიდან—16. ახალუბნისა და ბერშუეთის სოფსაბჭოში კი, სადაც ხორბალი და ქერი 1.158 ჰექტარზე უნდა დაითესოს, დათესილი იყო 32 ჰექტარი.

დიდად ჩამორჩენილია ხვნაც. 31 სოფლის საბჭოდან საშემოდგომო ხვნის გეგმა ამ რიცხვისათვის არცერთს არ ჰქონდა შესრულებული. კერძოდ საყავრის სოფსაბჭოში ხვნა დაწყებულიც არ იყო.

ეს ჩამორჩენა გამოწვეულია ერთის მხრივ იმით, რომ ცუდად იყენებენ ცოცხალ გამწევ ძალას, მეორე მხრივ კი უხეიროდ მუშაობენ გორისა და ახალსოფლის მტს-ების სატრაქტორო პარკები.

გორის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებს 325 გუთნეული ჰყავთ. ნორმალურ პირობებში მათი საშუალებით ყოველდღიურად უნდა მოიხნას სულ ცოტა 150 ჰექტარი. აქ კი მუშა-პირუტყვით მთელ შემოდგომაზე მოხნულია მხოლოდ 796 ჰექტარი და დათესილია 539.

რაიონმა ლეწვა უკვე დაამთავრა. ყველა ტრაქტორი ახლა საშემოდგომო ხვნა-თესვაზე უნდა იყოს გადაყვანილი, მაგრამ ცუდი რემონტისა და სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ეს არ ხერხდება. უნივერსალის მარკის ერთი ტრაქტორი ზემო-ხვითის კოლმეურნეობაში მთელი წლის განმავლობაში უმოძრაოდ დგას და მის შეკეთებაზე თავს არავინ იწუხებს. „ჩტზ"-ის მარკის ერთი ტრაქტორი იანვრის შემდეგ სახელოსნოში დგას და რემონტიდან ჯერაც არ გამოსულა.

საერთოდ ტრაქტორები დიდი შეფერხებით მუშაობენ. მაგალითად, ანდრო მელქუაშვილის ტრაქტორმა საშემოდგომო ხვნაზე ოთხი დღე იმუშავა, შემდეგ დაზიანდა და 20 დღე მოსცდა. შ. ვანიშვილის ტრაქტორი, რომელიც დროზე არ შეაკეთეს, სოფ. შერთულის კოლმეურნეობაში 17 დღე იდგა. უხეირო მოვლით შ. მარგიშვილმა ტრაქტორს დიფერის კბილანები დაუმტვრია და იგი პირველიდან 5 სექტემბრამდე მოაცდინა. ამავე მიზეზით სამ-სამი დღე გაცდა ი. გაგლოშვილის, ლ. მშვიდობაძის, ვ. ძამაშვილის, გ. ელბაქიძის და სხვათა ტრაქტორები.

ხშირად კოლმეურნეობებიც არ უწყობენ ხელს ტრაქტორების ნორმალურ მუშაობას. მაგალითად, რ. მეგრელიშვილისა და ო. ზარხოზაშვილის ტრაქტორები, რომლებიც სოფ. ვარიანის კოლმეურნეობაში მუშაობენ, 11 სექტემბერს რემონტში იდგნენ. ხოლო 12 სექტემბერს მოსცდნენ იმის გამო, რომ საწვავი მასალა დროზე არ მოუტანეს.

გორის მტს-ს ორი მოძრავი სახელოსნო აქვს მოწყობილი, მაგრამ ისინი მომარაგებული არ არიან სათადარიგო ნაწილებით და ვერც თავის დანიშნულებას ასრულებენ.

არც თესლის საკითხია მოგვარებული. საკონტროლო ლაბორატორიაში გატარებული თესლი, მცირე გამონაკლისს გარდა, მთლიანად უკონდიციოა. კოლმეურნეობებში არსებული ტრიერების უმეტესობას არ აქვს ხორბლის ცხავები.

„ზაგოტზერნო" მავნებლურად აჭიანურებს ჯიშიანი თესლის შემოზიდვას. „უკრაინკის" ჯიშის თესლი გეგმით გათვალისწინებულ 1200 ცენტნერის ნაცვლად რაიონში შემოზიდულია მხოლოდ 493 ცენტნერი, „კოოპერატორკის" ჯიშის თესლი კი 6.554 ცენტნერიდან—4.938 ცენტნერი. აღსანიშნავია ისიც, რომ თავისი სიწმინდის მიხედვით ეს თესლეულიც ძველი სტანდარტისა და 0,5—1 პროცენტით დასარევლიანებულია.

ხელმძღვანელი ორგანოების დავალებით გორის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს ურთიერთშორის უნდა გადაეცვალათ ჯიშიანი თესლი, მაგრამ ამ ოპერაციის დაჩქარებას რაიმიწგანისა და მტს-ების ხელმძღვანელები ყურადღებას არ აქცევენ. 2.987 ცენტნერიდან კოლმეურნეობებმა ჯერჯერობით მხოლოდ 886 ცენტნერი გადასცვალეს. სოფელ ჩარხისუბნის, ზემო-რიითის, კოშკების, ახალდაბის, ნადარბაზევის, ზემო-ტყვიავისა და შავშვების კოლმეურნეობებს გადაცვლის წესით ჯერ არცერთი ცენტნერი ჯიშიანი თესლი არ მიუღიათ მეზობელი კოლმეურნეობებიდან.

გორის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციები ნუთუ ასეთი მუშაობით ფიქრობენ საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმების ვადაზე და ხარისხოვნად შესრულებას?

ესპანეთის საკითხი ერთა ლიგაში

ჟენევა, 20 სექტემბერი (საქტესი). დღეს ერთა ლიგის პლენუმს შესაძლებლობა ჰქონდა დაემტკიცებინა, თუ „ჩაურევლობისა" და „ნეიტრალობის" პრინციპებმა, რომლებსაც ერთა ლიგის ზოგიერთი თვალსაჩინო წევრი უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში ჰქადაგებს, რამდენად წაართვეს გავლენა მეორე პრინციპს, რასაც ერთა ლიგის პაქტი ეფუძნება — კოლექტიური უშიშროების პრინციპს. იმ მომენტში, როცა ესპანეთი, ლიგის ერთერთი ყველაზე ლოიალური წევრი, იბრძვის თავისი სიცოცხლისათვის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ერთა ლიგისა და საყოველთაო მშვიდობიანობის დაუძინებელი მტრების — გერმანიისა და იტალიის წინააღმდეგ, — იმ მთავრობათა უმეტესობას, რომელთაც ამ პლენუმზე დელეგაციები გამოგზავნეს, არ ეყოთ ვაჟკაცობა ხმა მიეცათ ესპანეთის უფლებისათვის — ხელახლად ყოფილიყო არჩეული ერთა ლიგის საბჭოში, სადაც მას 1928 წლიდან ეჭირა ეგრეთწოდებული, „ნახევრადმუდმივი" ადგილი (რომელიც უნდა განახლდეს ყოველ სამ წელში). მთელ უკანასკნელ დღეებში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ესპანეთის კანდიდატურის წინააღმდეგ გამოდიოდა სხვადასხვა სახელმწიფო. ამათ რიცხვს, პირველ რიგში ეკუთვნიან სამხრეთ-ამერიკის სამხედრო დიქტატურის ქვეყნები. კერძოდ, იმ დაჯგუფებიდან, რომელმაც თავისი თანაგრძნობა ფაშისტი მეამბოხეებისადმი შენიღბა „შეშფოთებით" იმ მეამბოხეთა ბედის გამო, ვინც თავი შეაფარა მათ საელჩოებს ესპანეთში, და რომელიც რესპუბლიკური მთავრობისაგან მოითხოვდა ყბადაღებული „თავშეფარების უფლების" ცნობას. ჯერ კიდევ გუშინ ჩილის, ბოლივიის, პერუს, ეკვადორისა და კუბის დელეგატების ხელმოწერით ესპანეთის დელეგაციამ მიიღო წერილი, სადაც წამოყენებულია შემდეგი გარიგება: ეს დელეგაციები ესპანეთის კანდიდატურას ხმას მისცემდნენ იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული იქნებოდა თავშეფარების უფლება, აღიარებული იქნებოდა დაინტერესებული ელჩის უფლება — ნება დაერთო ან არ დაერთო, რათა რესპუბლიკური სასამართლოს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ ელჩთან დამალული პირები (დამნაშავეებიც კი) და სხვ. ესპანეთის პირველმა დელეგატმა — პრემიერმა ნეგრინმა თავის პასუხში მოიხსენია ის მრავალი დათმობა, რომლებზედაც უკვე წავიდა ესპანეთის მთავრობა ამ საკითხში, და გამოსთქვა რა სურვილი განაგრძოს მოლაპარაკება ამ საკითხზე, უკუაგდო შეუწყნარებელი ხელყოფა ესპანეთის მთავრობის სუვერენიტეტისა და ესპანეთის სასამართლოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

შემდეგ უნდა აღინიშნოს თურქეთის პოზიცია. თურქეთსაც დღემდე ნახევრადმუდმივი ადგილი ეკავა საბჭოში, მაგრამ ეს ადგილი მან დაუთმო ირანს ახლოაღმოსავლეთის სახელმწიფოთა კონფერენციაზე. მიუხედავად ამისა, იგი თავის კანდიდატურას აყენებდა საბჭოში და ამით ფაქტიურად ართმევდა ხმებს ესპანეთს.

მაგრამ, გარდა ამ სახელმწიფოებისა, იყვნენ სხვებიც, რომელნიც ხედავენ რა ერთა ლიგის ხანგრძლივ უმოქმედობას ერთერთი თავის წევრის მიმართ, რომელსაც აშკარად თავს დაესხნენ ლიგის მოსისხლე მტრები, — პირდაპირ ლაჩრობას იჩენენ და ჰფიქრობენ, რომ „უესპანეთოდ საბჭოში მეტი სიწყნარე იქნებაო". თუ მართალია, როგორც ამას ახლა ინგლისისა და საფრანგეთის წრეებში ამტკიცებენ, რომ მათმა დელეგაციებმა და მათმა უახლოესმა მეგობრებმა ხმა მისცეს ესპანეთს, მაშინ ხსენებული განწყობილების არსებობა ზოგიერთ პატარა სახელმწიფოში მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ როგორ ხდება, რომ აგრესორისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობისა და კოლექტიური უშიშროებისადმი ყოველგვარი რწმენის სისტემატური გაქარწყლების პრაქტიკა თანდათან მიიმართება მისივე ავტორების წინააღმდეგ.

ლიგის საბჭოში ესპანეთის კანდიდატურის წამოყენების საკითხს ხმა მისცა 52 სახელმწიფომ. მათგან ხუთმა ჩააგდო ცარიელი ბლანკები. დანარჩენი 47 ხმიდან საჭირო იყო 32 ხმა, რომ გამოსულიყო ორიმესამედი უმრავლესობა ესპანეთის სასარგებლოდ. ესპანეთმა კი მხოლოდ 23 ხმა მიიღო. ლიგის კულუარებში აცხადებენ, ესპანეთის აურჩევლობას საბჭოში პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან მას წესდებით უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ყოველი იმ საკითხის განხილვის დროს, რომელიც ესპანეთს ეხება.

ესპანეთის კანდიდატურის შემდეგ, როგორც უკვე ვიუწყებოდით, აცილებულ იქნა თურქეთის კანდიდატურაც. 50 ხმიდან მან მიიღო მხოლოდ 25 ხმა, საჭირო 34 ხმის ნაცვლად. ლიგის მტრები, რა თქმა უნდა, ამით არ დამშვიდებულან. უკვე არის ცნობები, რომ საბჭოს არჩევნებში განთავისუფლებულ ადგილზე თავის კანდიდატურას, გარდა ბელგიისა და ჰოლანდიისა, უეცრად აყენებს საბერძნეთიც. საბერძნეთის დელეგაციის როლი იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ცდილობს წამოაყენოს აბისინიის საკითხი სამანდატო კომისიაში, აგრეთვე შეაჩეროს ან შეასუსტოს ნიონის კონფერენციის გადაწყვეტილებანი, საკმაოდ კარგად არის ცნობილი ჟენევაში, რათა არავის არ დარჩეს ეჭვი, თუ რა აზრი აქვს საბერძნეთის უკანასკნელ გამოსვლას.

ინგუროქროს ქაჯები

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ოქროს ვერძის ლეგენდას ბოლშევიკებმა ხორცი შეასხეს, ინგურის მადლიან ხეობას თვალი მიაპყრეს და მის ნაპირებზე ოქროს საძიებელი წარმოება მოაწყეს.

პირველ ხანებში საქმე კარგად მიდიოდა, შემდეგ ხალხის მტრებმა კბილი აქაც გაჰკრეს და წარმოება ჩაშალეს.

კუსტარულად არის დაყენებული ოქროს ძიება. წარმოებას არ გააჩნია უმარტივესი იარაღებიც კი. ოქრო ინგურის ხეობაში, როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ქანებშია გავრცელებული. პირველ შემთხვევაში უბრალო თვალითაც ადვილია ამ კეთილშობილი ლითონის პოვნა, მეორე შემთხვევაში კი დიდ სიღრმეზე ჩაწვდომაა საჭირო, რისთვისაც აუცილებელია „კისტონისა" და „მარშალის" სისტემის საბურღავების დადგმა და სპილენძისა და ორთქლის ტუმბოების მოშველიება, რაც ადგილზე არა აქვთ.

მტაცებლები სხედან ინგუროქროს მძიებელ აპარატში და სწეწავენ ოქროს მდიდარ საბადოებს. ტექნიკურად შეუიარაღებელი მძიებელნი იძულებული არიან ოქრო იქ ეძიონ, სადაც ხელი მიუწვდებათ, ხოლო ოდნავ საძნელო ადგილებს, სადაც ოქროს ნიშნები არის, დაუმუშავებელს სტოვებენ. ასეთი კუსტარული მუშაობის შედეგად გეგმა არ სრულდება, სტახანოვურმა მოძრაობამ ფეხი ვერ აიდგა...

ინგურის ოქროს მძიებელნი აცხადებენ: ჩამორჩენა კადრების ნაკლებობის ბრალიაო, მაგრამ ეს ყურით მოთრეული „არგუმენტი" ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ოქროს მძიებელ ვასილ არღვლიანის ცოლმა წინადადებით მიმართა ცხუმარის უბნის უფროსს სორბინინს, ნება დაერთო ჩამოეყალიბებინათ ოქროს მძიებელ ქალთა ბრიგადა, მაგრამ სორბინინმა უარით გაისტუმრა.

ასეთივე ბედი ეწია ჭკადუების ბრიგადასაც. კიდევ მეტი. ინგუროქროს „დიდკაცები" მატვეენკო და სხვები იმდენად გათავხედდნენ, რომ მოხუც ქალს ვ. ჭკადუას ჩაბარებულ ოქროში ფული მანამდის არ გადაუხადეს, სანამ საქმეში რაიონის პროკურორი არ ჩაერია.

ინგუროქროს მძიებელ სამმართველოს უფროსი რიჟოვი გეგმის შესრულების ნაცვლად კომბინაციებს აკეთებს. მან სახელმწიფო ფულით თბილისში ბროსეს ქუჩაზე ოროთახიანი ბინა იყიდა და 11.000 მანეთი გადაიხადა. მოსკოვში თვენახევრიანი მივლინებიდან დაბრუნებისას 6.503 მანეთის ხარჯები წარმოადგინა, მოსკოვიდან ცოლისა და უკვე დიდიხნის გარდაცვლილი მამის სვანეთში „გადმოსაყვანი" 2.500 მანეთი გამოიწერა და, მიუხედავად იმისა, რომ სამმართველომ გასული წელი დიდი ზარალით დაასრულა, ჯილდოს სახით 5.000 მანეთი მიიღო.

ნათქვამია, „ხელი ხელსა ჰბანს, ორივე კი პირსაო". რიჟოვმა ბუხჰალტერიის აპარატს მსუქანი ნაჭერი მიუგდო და გააჩუმა.

წლიური ანგარიშის შედგენისათვის რიჟოვმა მავნებლური სიუხვით დააჯილდოვა ბუხჰალტერიის აპარატი. მთავარმა ბუხჰალტერმა მენდელეევმა კუთვნილი 1500 მანეთის ნაცვლად 4 თვის ხელფასი მიიღო და 4000 მანეთი ჩაიჯიბა, ლარიონოვს 600 მანეთი ერგებოდა, მაგრამ 1.600 მანეთი მიიღო. ესსენმა და სილვესტროვმა 425 მანეთის ნაცვლად 1425 მანეთი მიიღეს. მართალია, სამნეო ნაწილის გამგე ხარაიძეს ანგარიშის შედგენაში ჯაფა არ დასდგომია, მაგრამ რიჟოვის „წყალობით" 4 თვის ხელფასი იმანაც ჩაიჯიბა.

დროა ბოლო მოეღოს ოქროს წარმოებაში უნიათო, უხერხემლო მუშაკების თარეშს. ისინი სასტიკად უნდა დაისაჯონ.

ოთარ ეზაძე

◆

რედაქციისაგან:

რედაქცია მოელის ამ საქმეში საბჭოთა კონტროლის კომისიის ჩარევას და რადიკალური ზომების მიღებას „ინგუროქროს" სამმართველოს აპარატში მოკალათებულ მტრულ და უცხო ელემენტების წინააღმდეგ.

ალ. საჯაია

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი

გადაჭრით გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა

საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მიერ შემოტანილ წინადადებათა და დასახულ ღონისძიებათა განხორციელებით ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობაში თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვეს: ძირითადად ლიკვიდირებულია შინაპარტიული დემოკრატიის უხეში დარღვევის ფაქტები, გაიზარდა კომუნისტთა აქტივობა, გაძლიერდა ბრძოლა ბოლშევიზმის დაუფლებისათვის, გამახვილდა კლასობრივი სიფხიზლე, გაბედულად დაწინაურებულ იქნენ ახალი კადრები.

დადგენილებათა შესრულების შემოწმების, მდგომარეობის შესწავლისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო პარტიული თათბირები — ქალაქის და სოფლის პირველადი პარტორგანიზაციებისა.

თათბირებმა გვიჩვენეს, რომ მიუხედავად სერიოზული წარმატებებისა, პარტორგანიზაციებს ჯერ კიდევ მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებს, მაგალითად, პარტიულ კრებებს ჯერ კიდევ მოუმზადებლად ატარებენ ლიტოპონის მშენებლობის, საქვაჭრობის, კავშირგაბმულობის, საქმშენის განყ. და სხვა პარტორგანიზაციებში. კავშირგაბმულობის ქუთაისის განყოფილების პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი—ბუაძე) 14 აგვისტოს მოიწვია პარტიული კრება; დღის წესრიგში იდგა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის შედეგების განხილვა. მაგრამ კრება მოუმზადებლად მოიწვიეს და ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციამ დადგენილების მიღება ვერ შესძლო. დადგენილება გამოტანილ იქნა მხოლოდ 9 დღის შემდეგ. ცხადია, ასეთი პარტიული კრება კომუნისტთა აღზრდის სკოლა ვერ იქნება. მოუმზადებლად ჩატარებული კრება ვერ დარაზმავს კომუნისტებს, ვერ გააძლიერებს მათს სიფხიზლეს, ვერ გაზრდის მათს აქტივობას, პირიქით, ის ასუსტებს კომუნისტთა აქტივობას, მათს ინიციატივას. სწორედ ამის შედეგად მოხდა, რომ სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაციის წევრებს გოგიბერიძეს, ჰირაქაძეს, ბარბაქაძეს 6 თვის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღიათ საკითხების განხილვაში. ამის შედეგია ისიც, რომ კრებებზე ხშირად გამოაქვთ ისეთი დადგენილებები, რომლებიც არ გამოხატავენ კრების კოლექტიურ აზრს და მოკლებული არიან კონკრეტულობას.

დადგენილებათა და დავალებათა შესრულების შემოწმების სწორად დაყენება წარმოადგენს ერთერთ ძირითად ღონისძიებას მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. ჩატარებულმა პარტიულმა თათბირებმა ცხადჰყვეს, რომ შესრულების შემოწმება მოქცეული არ არის ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობის ცენტრში (აბრეშუმის კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკა, მაუდის ფაბრიკა, საკონსერვო ქარხანა, შინსახკომი და სხვ.), მაგალითად, შინსახკომის ქუთაისის განყოფილებასთან არსებულ პირველადს პარტორგანიზაციას დღემდი ერთხელაც არ განუხილავს დადგენილებათა და დავალებათა შესრულების საკითხი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამხანაგმა სტალინმა ნათლად განგვიმარტა, რომ „მუშაკთა შემოწმება, ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მათი დაპირებებისა და დეკლარაციების მიხედვით, არამედ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით.

დავალებათა შესრულების შემოწმება, ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მარტო კანცელარიაში და არა მარტო ფორმალური ანგარიშების მიხედვით, არამედ უწინარეს ყოვლისა მათს შემოწმებას მუშაობის ადგილას შესრულების ფაქტიური შედეგების მიხედვით".

თათბირზე გამომჟღავნდა, რომ ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე ვერა გვაქვს. ზოგან კომუნისტებს დავალებები სრულებით არ ეძლევათ, ხოლო ზოგიერთ ამხანაგს მიცემული აქვს უამრავი დავალება. მაგალითად, სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაციის წევრს ამხ. იოსელიანს მიცემული აქვს 6 დავალება. ის არის პარტიული განათლების ორი წრის ხელმძღვანელი, პარტკაბინეტის გამგე, კედლის გაზეთის რედაქტორი და ა. შ; ცხადია, ამდენ დავალებებს თავს ვერ ართმევს და ვერცერთ მათგანს რიგიანად ვერ ასრულებს. განა პარტორგანიზაციაში არ არიან კომუნისტები, რომლებსაც შეიძლებოდა ეს დავალებები მისცემოდა? რა თქმა უნდა, არიან, მაგრამ ძალების გამოუყენებლობის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ პარტიული კომიტეტის ყოფილი მდივანი აბულაძე არ იცნობდა კომუნისტებს, გათვალისწინებული არ ჰქონდა თვითეულის შესაძლებლობანი და ამიტომ დავალებებს სწორად ვერ ანაწილებდა. მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში ასევე მივიწყებულია ზრუნვა კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უარჰყო კომუნისტების თვითანგარიშის ის ფორმები, რომლებშიაც იგი წინათ ხდებოდა. ბევრმა პარტორგანიზაციამ ეს ისე გაიგო, თითქოს ჩვენ ხელი უნდა აგვეღო იმის შესწავლა - გამორკვევაზე, თუ როგორ ასრულებს კომუნისტი ავანგარდულ როლს, როგორ ეუფლება ბოლშევიზმს და სხვ.

გამოირკვა აგრეთვე, რომ პარტიული მეურნეობის მთელს საქმეში ჯერ კიდევ ვხვდებით საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების დარღვევის შემთხვევებს. პარტიული დოკუმენტები დადგენილ წესისამებრ არ ინახება („მკერავის" ფაბრიკის, ქალაქის საბჭოს, რაიკავშირის და სოფლის უმრავლეს პარტორგანიზაციებში), რის შედეგადაც პარტიული დოკუმენტების გამოცვლის შემდეგ ქუთაისის პარტორგანიზაციებში 36 პარტბილეთია დაკარგული.

პარტიულმა თათბირებმა აგრეთვე ცხადჰყვეს, რომ ჯერ კიდევ საკმაო ხელმძღვანელობა და დახმარება არ ეწევა თანამგრძნობებს, ისინი ჩაბმული არ არიან აქტიურ მუშაობაში. მაგალითად აბრეშუმის კომბინატში 30 თანამგრძნობიდან დავალება მიცემული აქვს მხოლოდ 6 ამხანაგს. „მკერავის" ფაბრიკის პარტორგანიზაციასთან არსებულ თანამგრძნობთა ჯგუფში 6 თვის განმავლობაში არცერთი თანამგრძნობი არ არის მიღებული, ხოლო ვინც მანამდე მიუღიათ, დავალებები არც იმათ ეძლევა. ბევრ ორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თანამგრძნობთა ჯგუფებში მოწინავე ადამიანების მისაღებად.

კომკავშირის ქუთაისის ორგანიზაციაში 5.500-ზე მეტი კომკავშირელია. მათზე ზრუნვა პარტიული ორგანიზაციების და თვითეული კომუნისტის საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ცალკეულ პარტორგანიზაციებს ეს ამოცანა ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ და კომკავშირს ბოლშევიკურად ვერ ხელმძღვანელობენ.

10 თვეზე მეტია, რაც პარტიაში მიღება განახლდა. ქუთაისის ორგანიზაციაში ამ ხნის მანძილზე პარტიის წევრებად მიღებულია მხოლოდ 20 ამხანაგი, ხოლო წევრობის კანდიდატებად — 18. ეს ციფრები მოწმობენ, რომ მდგომარეობა, რომელიც ამჟამად პარტიაში მიღების მხრივ გვაქვს დამაკმაყოფილებელი არ არის. ეს იმით აიხსნება, რომ პირველადი პარტორგანიზაციები არ აწარმოებენ ნამდვილ ბოლშევიკურ მუშაობას, იჩენენ თანამგრძნობთა და კომკავშირელთა შეუფასებლობას.

ჩვენს მორიგ ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა ბოლშევიზმის დაუფლებისათვის. ამ დარგში ბევრი არსებითი ნაკლი გვაქვს. წარსულში პარტიული სკოლებისა და წრეების დაკომპლექტებისას მსმენელთა ცოდნის დონე ყველგან როდი ყოფილა მხედველობაში მიღებული. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი სწავლებაში. ბევრ შემთხვევაში სწავლება დაშორდა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას. გახშირდა უდისციპლინობა როგორც მსმენელების, ისე პროპაგანდისტების მხრით. სკოლები ყველგან არ არიან უზრუნველყოფილნი სათანადო პირობებით (ოთახი, სახელმძღვანელოები და სხვ.) ჯერ კიდევ ყველა კომუნისტი არ არის ჩაბმული პარტგანათლების წრეში.

უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა პოლიტიკური აღზრდის საქმე სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული აბრეშუმის კომბინატში, სამკერვალო ფაბრიკაში, საკონსერვო ქარხანაში, რიონჰესსა და მთელ რიგ სხვა საწარმოებში. ეს იმის შედეგია. რომ პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავდნენ ამ საქმეზე, ხელმძღვანელობას არ უწევდნენ მას, პარტორგანიზაციის საქმედ არ მიაჩნდათ იგი.

ამჟამად მიღებულია ზომები იმისათვის, რომ არცერთი მუშა-მოსამსახურე არ დარჩეს პოლიტიკური სწავლების გარეშე.

საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე ამხ. ლ. ბერია, ეხებოდა რა კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი გაშლის საკითხებს, ამბობდა: „შემდეგში კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, ვინაიდან მას, ამჟღავნებს რა ჩვენს ნაკლოვანებებს, დეფექტებს და მტკივნეულ ადგილებს, მივყევართ მუშაობის განმტკიცებისა და გაუმჯობესებისაკენ". ცალკეულ პირველადს პარტორგანიზაციებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს კრიტიკისა და თვითკრიტიკის მოდუნებას, იდიოტურ სენს—უდარდელობას და დოყლაპიობას. სჩანს, ამ მითითებიდან შესაფერისი დასკვნები ვერ გამოიყვანეს. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კომუნისტებმა თავის დროზე ვერ აუღეს ალღო მავნებლებს, რომელნიც დიდხანს ეწეოდნენ დამანგრეველ მუშაობას ინსტიტუტში. წყალსადენის პარტიულმა ორგანიზაციამ, საკმაო სიგნალების მიუხედავად პარტიის რიგებიდან ვერ გარიცხა მავნებელი, წყალსადენის ყოფილი დირექტორი.

დასახელებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება, სტალინური კონსტიტუციის და ახალი საარჩევნო კანონის ირგვლივ აგიტაციის ფართოდ გაშლა, შეტევითი რევოლუციური სიფხიზლის გამახვილება—აი რა წარმოადგენს ახლა ჩვენს მთავარ საბრძოლო ამოცანას. საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ეს ამოცანა წარმატებით შეასრულოს.

◆

უსხო ადამიანთა „თაიგული" და აბუჩად აგდებული მომხმარებელი

(ცაგერი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

უკანასკნელი წლები ცაგერის რაიონის კოოპერაციის მუშაობაში დიდი „ჩავარდნებით" აღინიშნა. გამფლანგველობა, მტაცებლობა, პროტექციონიზმი, ბიუროკრატიზმი, სახელმწიფოს ხარჯზე სტუმართმოყვარეობა — ყოველივე ეს ფართოდ იყო გავრცელებული რაიკავშირის ძველი ხელმძღვანელობის (გოცირიძე, ნემსიწვერიძე, ბახსოლიანი და ძმანი მათნი) დროს.

1936 წელს პარტიის რაიონულმა კომიტეტმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე გაატარა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები ამ მდგომარეობის გამოსწორებისა და კოოპერაციის ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცებისათვის.

მოსახლეობა მოელოდა, რომ ამის შემდეგ მაინც მოეღებოდა ბოლო რაიკავშირის სისტემაში არსებულ უმსგავსოებას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. რაიკოოპკავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ რაიკავშირის ძველ ხელმძღვანელთა „ტრადიციას" არ უღალატა.

1937 წლის პირველი იანვრისათვის რაიონის კოოპერაციას 200.000 მანეთამდე სადებიტორო დავალიანება ჰქონდა. რაიკოოპკავშირის გამგეობას (თავმჯდომარე—ამხ. პ. ყურაშვილი, მოადგილე და სავაჭრო განყ. გამგე ნიკო სხვიტარიძე) ეს თანხა უნდა ამოეღო. მას კოოპერაციის ქონების დატაცება - განიავების შემთხვევების ლიკვიდაციისა და ნამდვილი საბჭოთა კულტურული ვაჭრობის დანერგვის გზით უნდა მიეღწია თავისი ქსელის რენტაბელობისათვის.

მოხდა კი პირიქით.

1937 წლის პირველ ნახევარში რვაჯერ გასტეხეს და გაძარცვეს კოოპმაღაზიები. რაიონის პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები (პროკურორი ამხ. კიზირია) სოციალისტური ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლისათვის თავს არ იწუხებენ.

ყოფილმა პურისმცხობელმა ქიქაბერიძემ 1840 მანეთი გაფლანგა, ცხვედიანმა (ალპანის სასადილოს მზარეული)—1777 მანეთი, ყარა სანთელაძემ (კოოპ. ტრანსპორტის ყოფილი გამგე)—1645 მან., დომენტი ბოჭორიშვილმა—993 მანეთი, რობაქიძემ (რაიკოოპკავშირის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ამჟამად მსჯავრდადებული ტროცკისტ-მავნებელი) — 2020 მანეთი.

რაიკოოპკავშირის გამგეობა უპასუხისმგებლოდ ეკიდება კოოპერაციის კადრების შერჩევას. თანამშრომელთა მიღება-დანიშვნა შეუმოწმებლად ხდება. გამგეობასთან არ მუშაობს საატესტაციო კომისია. სწორედ ამის შედეგად კოოპერაციაში ფეხი მოიკიდეს ყოფილმა ადამიანებმა, გამფლანგველებმა, კომბინატორებმა, სპეკულანტებმა, და სხვ., აი ისინი: მელიტონ ქარსელაძე, სიმონ ზონენაშვილი, ბესარიონ გოლეთიანი, რაჟდენ ჩაკვეტაძე, შოთა მანდარია, პეტრე ლეშკაშელი, ალექსანდრე ახვლედიანი, სემინარ ახვლედიანი, დავით გვიშიანი, ბესარიონ ყურაშვილი, დავით ალხაზიშვილი, დიომიდე ჭაბუკიანი, კოოპერაციაში მელაკუდური მახინაციებით და ძმაბიჭობით შემძვრალ ადამიანთა ეს „თაიგული" დიდხანს ეწეოდა თავის ბნელ საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ კარგი ხარისხის იაფფასიანი საქონელი ხშირად არ ჩადის საწყობს. მას თვითონ კოოპერაციის მუშაკები ინაწილებენ, ან ნაცნობ-მეგობრებს აძლევენ.

ლეჩხუმის კოლმეურნე მოსახლეობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებას მასობრივი მოხმარების საქონელზე ფასების შემცირების შესახებ, მაგრამ, წინააღმდეგ მთავრობის დადგენილებისა, ივლისის პირველ ნახევარში რაიკოოპკავშირის სავაჭრო მაღაზიები საქონელს ისევ ძველ ფასებში ჰყიდდნენ.

კოოპერაციის სასოფლო მაღაზიების შემოწმებამ დაადასტურა, რომ ბევრგან საქონელი არასწორად გადაფასეს. მაგალითად, ლაილაშის სოფლის მაღაზიის განყოფილებაში გადაფასება „ჩაატარა" რაიკოოპკავშირის კალკულატორმა ტროცკისტმა მ. ქარსელაძემ. რეზინისძირიან ჩუსტებზე 15 მანეთისა და 75 კაპიკის ნაცვლად დააწერა 22 მან. და 95 კაპ., ოდეკალონზე („სირენი") 4 მანეთის ნაცვლად 5 მანეთი და 68 კაპ.

ორბელის სოფლის მაღაზიაში (დირექტორი ბ. ქომეთიანი) კბილის პასტა („ოდენტინი") იყიდება 1 მან. და 31 კაპ. ნაცვლად 1 მან. და 21 კაპ.

ფასების საბჭოთა პოლიტიკის მსგავს დამახინჯებებს წააწყდებით ალვის, ცაგერის, ზუბის და ოყურეშის მაღაზიებშიც.

მაღაზიებში არ იცავენ საბჭოთა-კულტურული ვაჭრობის ელემენტარულ წესებს. ლაილაშის, ლვირიშის, ორბელის, ალვის და ზუბის კოოპმაღაზიებში არ მოიპოვება საჩივრის წიგნები, გამეფებულია სიბინძურე, საქონელი უწესრიგოდაა დალაგებული.

მაღაზიების უმრავლესობას უვარგისი სასწორ-საწონი აქვს, რის გამო ხშირია მომხმარებელთა წონაში მოტყუება (ცაგერის პურის წერტი).

პირველი მოთხოვნილების ისეთი საგნები, როგორიცაა შაქარი, მარილი და ნავთი, მაღაზიებში იშვიათად მოიპოვება.

ივლისში ცაგერის, დეხვირის, ალვის, წიფერჩის, ზუბისა და ოყურეშის მაღაზიებში ნავთი არ ყოფილა.

საინტერესოა. იცის თუ არა ცეკავშირმა აქ მოყვანილი აღმაშფოთებელი ფაქტების შესახებ? ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ცეკავშირის „პასუხისმგებელი" ინსტრუქტორები ცაგერში ხშირად დაიარებიან, საქმე კი არა სჩანს.

გ. ყურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზრდება, მშვენდება სოციალისტური თბილისი



თბილისი. დამთავრდა ბალნეოლოგიური კურორტის ახალი საბაზანო შენობის გაფორმება.
სურათზე: შესასვლელი საბაზანო შენობაში.
ფოტო კალიშევსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

დედაქალაქის ტრანსპორტი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განვითარდა ქალაქის რკინიგზის მეურნეობა. უკვე 1927 წელს ტრამვაის ვაგონების პარკი 131 ერთეულს ითვლიდა, ხოლო 1933 წელს ხაზზე ყოველდღიურად 139 ვაგონი მოძრაობდა.

მაგრამ დედაქალაქის გაზრდილ მოთხოვნას ვაგონების ეს რაოდენობა ველარ აკმაყოფილებდა. გარდა ამისა, არსებული პარკის დიდი ნაწილი ძველი სისტემის ვაგონებისაგან შესდგებოდა, ამიტომაც ტრამვაის მეურნეობას ახასიათებდა დაბალი საექსპლოატაციო სიჩქარე, ხაზებიდან ვაგონების ხშირი დაბრუნება და ტრამვაის ხაზის უქონლობა ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ გარეუბნებში.

ამასთან დაკავშირებით 1933 წლის სექტემბერში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის და თბილისის საბჭოს გაერთიანებულ პლენუმზე ამხანაგი ლ. ბერია მოითხოვდა თბილისის საქალაქო რკინიგზის მეურნეობის ძირითად რეკონსტრუქციას.

ამ მითითების საფუძველზე ჩატარდა ქალაქის ტრამვაის რეკონსტრუქცია: ვიწროლიანდაგიანი ხაზები გადაკეთებულ იქნა ფართოლიანდაგიან ხაზებად. სავსებით განახლებულია ტრამვაის მოძრავი შემადგენლობა.

აგებულია აგრეთვე სამი სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგური და ტრამვაის ახალი პარკი. ოთხი უკანასკნელი წლის განმავლობაში დაგებული ახალი ხაზების სიგრძე 16 კილომეტრია. ტრამვაის პარკი შევსებულია ახალი ფართოლიანდაგიანი და სწრაფმავალი ვაგონებით, რომლებიც დამზადებულია ჩვენს საბჭოთა ქარხნებში. სავსებით რეკონსტრუირებულია თბილისის ტრამვაის სახელოსნოებიც.

ტრამვაის ხაზები გაყვანილია მთელ რიგ ახალ რაიონებში, მაგალითად, ლენრაიონში — „ნეფტებურმაშის" ქარხნამდე, ვაკეში — სტუდენტთა ქალაქამდე და სხვ.

იზრდება ტრამვაით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა. თუ 1932 წელს ტრამვაით გადაყვანილ იქნა 112 მილიონი მგზავრი, მიმდინარე წელს ნავარაუდევია 167 მილიონი მგზავრის გადაყვანა.

თბილისში პირველად 1932 წელს მოეწყო საავტობუსო მოძრაობა. მაშინ მხოლოდ 4 ავტობუსი მუშაობდა, წელს 37 ავტობუსი მუშაობს. 1933 წელს ავტობუსები მოძრაობდნენ 11,5 კილომეტრზე, ახლა კი 65 კილომეტრის მანძილზე მოძრაობენ. თუ ოთხი წლის წინათ ერთი მანქანა დღეში 9,4 საათს მუშაობდა, დღეს მუშაობს 13 საათს, საათში 17,9 კილომეტრის საექსპლოატაციო სისწრაფით. 1934 წელს ავტობუსებმა გადაიყვანეს 2 მილიონზე მეტი მგზავრი, 1935 წელს — 4,9 მილიონი, 1936 წელს — 6,7 მილიონი.

ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესებისა და კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად წლითიწლობით მატულობს მანქანათა სისწრაფე, გამძლეობა და უმჯობესდება მგზავრთა მომსახურება.

გაუმჯობესდა აგრეთვე მანქანათა სადგომები. ქალაქში მუშაობს 47 საბარგო ტაქსი. წელს გამოშვებული იქნება აგრეთვე 10 ტაქსი „მ". თბილისში ამჟამად მუშაობს 5 ტროლეიბუსი, მიღებული გვაქვს კიდევ 12 ტროლეიბუსი.

1938 წლისათვის განზრახულია 49 ავტობუსის მუშაობა, აქედან ყოველდღიურად იმუშავებს 37 მანქანა, რომლებმაც მთელი წლის განმავლობაში უნდა გადაიყვანონ 9,3 მილიონი მგზავრი. მომავალ წელს ავტობუსებზე დაიხარჯება 400 ათასი მანეთი, სამგზავრო ტაქსებზე — 70 ათასი მანეთი და პირველი რიგის გარაჟის მშენებლობაზე — 1,2 მილიონი მანეთი.

ნ. მემარნიშვილი

თბილისის არქიტექტურა

ა. ქურდიანი
თბილისის საბჭოს მთავარი არქიტექტორი

თბილისს დღემდე არა აქვს ქალაქის არქიტექტურულ - მხატვრული გაფორმების კომპლექსური პროექტი, რის შედეგად ქალაქი სტიქიურად და ზოგჯერ უგეგმოდ ფორმდება — ასე ამბობდა ამხ. ლ. ბერია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და თბილისის საბჭოს გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წელს. მართლაც, ხშირად სამრეწველო და საცხოვრებელი სახლები არ იყვნენ განლაგებული საჭიროების მიხედვით. უყურადღებოდ იყო მიტოვებული ქალაქის მშენებლობის არქიტექტურული კონტროლი, რის შედეგად აშენდა ისეთი არქიტექტურულად მიუღებელი სახლები, როგორიცაა, მაგალითად, კავშირგაბმულობის სახლი, რომელიც ახლა საჭიროებს მთელი ფასადის ძირეულ რეკონსტრუქციას, ტრამვაის მუშათა საცხოვრებელი სახლები, საცხოვრებელი სახლი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში და სხვ., რომლებიც აშენებულია ე. წ. „ქართული სტილისა" და კონსტრუქტივიზმის მიხედვით.

თბილისის მშენებლობაში გარდატეხის პერიოდად ითვლება 1933 წელი. აქედან რადიკალურად ფართოვდება კაპიტალდაბანდებანი ქალაქის კეთილმოწყობის დარგში, საინჟინრო და სამოქალაქო მშენებლობათა დარგში და იწყება ქალაქის რეკონსტრუქცია.

ძალიან გალამაზდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირი. ტალახიანი ფერდობები, ღორების სათარეშო ადგილები, სიბინძურე შესცვალა მშვენიერმა არქიტექტურულმა ნაგებობამ — სანაპირო ქუჩამ. თუ წინათ „ქალაქის თავები" ოცნებობდნენ მადათოვის კუნძულის მოწყობაზე, რომელიც ჭუჭყისა, მტვრისა და ტალახის ბუდეს წარმოადგენდა, ახლა მტკვრის მარჯვენა ტოტი ამოშრობილი და მოასფალტებულია და იქ გაშენდა მშვენიერი სკვერი.

ქალაქში განიერი მაგისტრალების შექმნის გადამწყვეტი ფაქტორი იყო ჩელუსკინელთა ხიდის აგება. ამ ხიდის აგებამ შესანიშნავი პეიზაჟი შექმნა. მოეწყო ახალი მოედანი, რომელზედაც მალე წამოიჭიმება უდიდესი 100-ბინიანი საცხოვრებელი კომბინატი, აქვე შენდება ცირკის შენობა და სხვ.

ლამაზდება, მხატვრულად ფორმდება წინათ უყურადღებოდ მიტოვებული „ნაძალადევისა" და ავლაბრის უბნები. მათ წინათ არა ჰქონდათ კომუნალური მეურნეობის ელემენტარული სახეებიც კი. ახლა აქ გაფართოვებული და მოასფალტებული ქუჩებია, მოწყობილია მოედნები, შენდება დიდი საცხოვრებელი და სამრეწველო შენობები.

ყველა ხედავს, თუ როგორი სახე მიიღო რუსთაველის პროსპექტმა. იგი განთავისუფლდა ტრამვაისაგან და მასზე მალე გასრიალდება ტროლეიბუსის კომფორტაბელური ვაგონი. პროსპექტზე დაიდგმება ლითონის მხატვრულად გაფორმებული გამანათებელი სვეტები, პროსპექტი ლამაზდება და მდიდრდება მშვენიერი არქიტექტურული ნაგებობებით. საცაა ხარაჩოებს ჩამოხსნიან ულამაზეს შენობას — მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს და მთავრობის სასახლეს.

ამხ. ლ. ბერიას ინიციატივით შექმნილია კომკავშირის მშვენიერი ხეივანი, რომელიც წარმოადგენს თბილისის მშრომელთა საუკეთესო დასასვენებელ ადგილს. აგებულია აგრეთვე საბაზანო შენობა — ბალნეოლოგიური კურორტის დასაწყისი.

ძირეულად რეკონსტრუირებული იქნება ვაგზლის მოედანი. აქ აშენდება სასტუმრო „ტურისტი" 20 ათასი კუბ. მეტრის მოცულობით.

თბილისის ფუნიკულიორის მაღალ პლატოზე მალე წამოიჭიმება დიდი შენობა. დაიდგმება აგრეთვე დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ძეგლი, რომლის ადგილი მოითხოვს მთელი რაიონის რეკონსტრუქციას.

ჩვენ ჯერ კიდევ დიდი სამუშაო მოგველის. ჯერაც არ არის აღმოფხვრილი უპროექტო და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობანი; სუსტი კონტროლი ეწევა საგარეუბნო მშენებლობებს. იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევები, როცა მოქალაქე ერთი ღამის განმავლობაში მალულად „აშენებს" სახლს და შესახლდება შიგ. ქალაქის საბჭომ ასეთი ქაოტიური მშენებლობის წინააღმდეგ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები.

ქალაქის წყლით მომარაგება

ქალაქის წყლით მომარაგება წინათ ერთერთ მტკივნეულ ადგილს წარმოადგენდა. ძველი წყალსადენის სადღეღამისო სიმძლავრე 44,6 ათასი კუბური მეტრით განისაზღვრებოდა, წყლის სულადობრივი მოხმარება დღეღამეში დაახლოვებით 57 ლიტრს უდრიდა, საწყალსადენო მაგისტრალების საერთო სიგრძე 225.8 კილომეტრს არ აღემატებოდა.

1933 წელს (ივნისში) ამუშავდა ნატახტარის წყალსადენი, რომელიც დედაქალაქს სუფთა წყაროს წყალს აწვდის.

1934 წელს წყალსადენმა თბილისის მოსახლეობას 11.095 ათასი კუბური მეტრი წყალი მიაწოდა და წყლის სულადობრივმა მოხმარებამ 71,85 ლიტრს მიაღწია, ხოლო 1935 წელს ერთ მცხოვრებზე 87,25 კუბური მეტრი წყალი მოდიოდა. 1936-37 წლების განმავლობაში ამუშავდა ნატახტარის წყალსადენის მეორე რიგი, რითაც ქალაქისათვის წყლის სადღეღამისო მიწოდება, 94.000 კუბურ მეტრამდე გადიდდა.

ამჟამად წყალსადენის ქსელი გაყვანილია ქალაქის ახალ რაიონებშიც, განსაკუთრებით იმ მთიან ნაწილებში, რომლებიც წინათ წყლით არ მარაგდებოდნენ, მაგალითად, 26 კომუნარის სახელობის რაიონის ზემო ნაწილში, ხარფუხის, მთაწმინდის, საბურთალოს რაიონებში და სხვ. ამ რაიონების მომსახურების მიზნით აგებულია წყლის მძლავრი საქაჩავი სადგურები და რეზერვუარები. ნატახტარის წყლით მარაგდება აგრეთვე ფუნიკულიორი და სოფ. ოქროყანა.

რეკონსტრუირებული და ახლად დაგებულია წყალსადენის ქსელი 106 კილომეტრის მანძილზე. წელს საწყალსადენო ქსელის სიგრძე 254 კილომეტრს მიაღწევს, ნაცვლად 211 კილომეტრისა 1933 წელს.

ნატახტარის წყალსადენის მეორე რიგის ამუშავების შედეგად გაიზრდება აგრეთვე წყლის სულადობრივი მოხმარება. წინასწარი ვარაუდით წელს თბილისის ერთი მცხოვრები დღეღამეში 110 ლიტრ წყალს მიიღებს.

1933—1937 წლების განმავლობაში წყალსადენს შეუერთდა 1888 სახლთმფლობელობა.

ამჟამად გამომჟღავნებულმა ხალხის მტრებმა ცოტა ზიანი როდი მიაყენეს დედაქალაქის საწყალსადენო მეურნეობას. ისინი ხელოვნურად აჭიანურებდნენ წყალსადენის ცალკე ნაგებობათა ექსპლოატაციაში გადაცემას. მაგალითად, ბრძოლის ქუჩაზე 700-მილიმეტრიანი მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში უნდა დამთავრებულიყო, დანიშნულ ვადაზე ვერ დაამთავრეს, რის გამო წელს ზაფხულში ქალაქი წყლის დიდ ნაკლოვანებას განიცდიდა.

ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოვსპოთ მავნებლობის შედეგები, დავაკმაყოფილოთ დედაქალაქის მზარდი მოსახლეობა და მრეწველობის მოთხოვნილება წყლის მხრივ.

ი. ზელეიშვილი

საბინაო და სასკოლო მშენებლობა

1927-დან 1932 წლამდე თბილისში აშენდა 118,3 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო 1933-დან 1937 წლამდე აშენებულია 164.689 კვადრატული მეტრი.

ყოველწლიურად იზრდება მუშათა საცხოვრებელი ფართობი. მაგალითად, 1926 წელთან შედარებით, მუშათა სულადობრივი საცხოვრებელი ფართობი 1936 წელს გაიზარდა 6,3 პროცენტით. ამასთანავე გადიდდა ბინების რემონტის ტემპები. 1932 წელს თბილისის საბჭოსა და ქალაქის საბინაო კავშირის ხაზით სახლების რემონტზე დაიხარჯა 1,5 მილიონი მანეთი, 1934 წელს — 2,6 მილიონი, 1935 წელს — 5,2, ხოლო 1936 წელს — 7,2 მილიონი მანეთი. 1937 წლის გეგმა ბინების რემონტზე ითვალისწინებს 9,2 მილიონი მანეთის დახარჯვას.

1935 სასწავლო წელს აშენდა 7 ახალი სასკოლო შენობა 5.880 მოსწავლისათვის, 1936 წელს — 11 შენობა 7.280 მოსწავლისათვის, ხოლო 1937 წელს—5 შენობა 4.400 მოსწავლისათვის. სულ აშენდა 23 სასკოლო შენობა 17.560 მოსწავლისათვის.

1934-35 სასწავლო წელს პირველ ცვლაში იყო 31.049 მოსწავლე, მეორეში — 26.500 და მესამეში — 4.000 (სულ 62.699). 1936-37 სასწავლო წელს 72.709 მოსწავლიდან პირველ ცვლაში მეცადინეობდა 47.918 მოსწავლე, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის ორმესამედს უდრის, მეორეში — 24.791 — ანუ ერთი მესამედი.

1933 წელს სკოლამდე აღზრდის დაწესებულებებში ჩაბმული იყო 11,6 ათასი ბავშვი.

1937 წელს ჩაბმულია 14,4 ათასი. 1933 წელს მასწავლებელთა ხელფასის ფონდი შეადგენდა 5,4 მილიონ მანეთს, წელს შეადგენს 10,9 მილიონს.

1933 წელს თბილისში სახალხო განათლებაზე დაიხარჯა 13,8 მილიონი მანეთი, 1937 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 48 მილიონი მანეთი.



თბილისი. ახალი სანაპირო ქუჩა ელბაქიძისა და კარლ მარქსის ხიდებს შორის.
ფოტო დავიდოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

გზები და მოედნები

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე საგრძნობი მიღწევებია დედაქალაქის საგზაო მშენებლობის დარგში. ამ ხნის განმავლობაში ძირითადად დამთავრდა ქალაქის მთავარი მაგისტრალების ასფალტირება. ქალაქის ქუჩებისა და მოედნების 3.193 ათასი კვადრატული მეტრი ფართობიდან 1933 წელს ასფალტირებული იყო მხოლოდ 23 ათასი კვადრატული მეტრი, ანუ საერთო ფართობის 0,74 პროცენტი. 1937 წელს კი ასფალტირებული ქუჩებისა და მოედნების ფართობმა 725 ათასი კვადრატულ მეტრს მიაღწია, ანუ საერთო ფართობის 32,5 პროცენტს.

თბილისში, სადაც წინათ არცერთი კეთილმოწყობილი მოედანი არ იყო, ამჟამად შექმნილია ამიერ-კავკასიის ფედერაციის, კ. მარქსის სახელობის, შაუმიანის, საბჭოთა კავშირის გმირების სახელობისა და ნავთლუღის მოედნები. გარდა ამისა, ძირითადად რეკონსტრუირებულია სადგურის მოედანი.

მომავალში ჩატარდება მეორეხარისხოვან, არასამაგისტრალო ქუჩების კეთილმოწყობა, პირველ რიგში ქალაქის ახალ რაიონებში; სახელდობრ, ლენინის, საბურთალოს, ვაკისა და ნავთლუღის რაიონებში.

ქალაქის ძველ ნაწილში უახლოეს მომავალში რეკონსტრუირებული იქნება სანაპირო მაგისტრალები.

1933-1937 წლების მანძილზე დედაქალაქი გამდიდრდა მთელი რიგი მსხვილი საინჟინრო ნაგებობებით, რომლებსაც დიდი სახალხო - სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ასეთ ნაგებობათა რიცხვს პირველ რიგში ეკუთვნება ჩელუსკინელთა ხიდი, რომლის მშენებლობა 1935 წელს დამთავრდა. ის რკინიგზის სადგურს ვაკის და საბურთალოს რაიონებთან უმოკლესი მანძილით აკავშირებს.

მეორე მნიშვნელოვან საინჟინრო ნაგებობას წარმოადგენს კალიაევის აღმართი, რომლის სიგანე 24 მეტრს უდრის, ხოლო დაქანება 5 გრადუსს არ აღემატება, მაშინ, როდესაც ძველი აღმართის დაქანება 9 გრადუსს აღწევდა. ეს აღმართი ნავთლუღის რაიონს უმოკლესი მანძილით აერთიანებს ქალაქის ცენტრთან.

3 კილომეტრის მანძილზე, საბჭოთა კავშირის გმირების სახელობის მოედნიდან ფიზკულტურის პარკამდე და შემდეგ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირით კალიაევის სახელობის ხიდამდე — გაყვანილია ფართო სატრანზიტო მაგისტრალი, რომლის აგებით ლიკვიდირებულია ანტისანიტარიის ბუდე ქალაქის ცენტრში.

ამჟამად გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობს სანაპირო ქუჩის შემდეგი რიგის მშენებლობა კალიაევის სახელობის ხიდიდან მეტეხის ხიდამდე, აქედან კომუნალური ქუჩის გასწვრივ „მკერავის" ფაბრიკამდე.

ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ასეთივე სანაპირო ქუჩა გაყვანილი იქნება მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

ინჟ. ნ. სლავინსკი.

ტ. აცანელი

მემარჯვენე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის კადრები*)

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1928 წლის 19 ოქტომბერს მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე თავის სიტყვაში „მემარჯვენე საფრთხის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)" ამბობდა: „მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ჩვენს პარტიაში იქნებოდა კაპიტალისტური ელემენტების უდიდესი გაძლიერება ჩვენს ქვეყანაში. ხოლო რას ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერება? ეს ნიშნავს პროლეტარული დიქტატურის შესუსტებას და კაპიტალიზმის აღდგენის შანსების გაძლიერებას. მაშასადამე, მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ჩვენს პარტიაში იქნებოდა იმ პირობების ზრდა, რომლებიც საჭიროა კაპიტალიზმის აღსადგენად ჩვენს ქვეყანაში".

მემარჯვენენი, რომლებიც ასე სწორად და გენიალურად დაახასიათა ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ ცხრა წლის წინათ, ისევე, როგორც ტროცკისტები, გადაიქცნენ ჯაშუშების, დივერსანტებისა და მავნებლების უპრინციპო და უიდეო ბანდად. მემარჯვენენი, ისევე, როგორც ტროცკისტები, საბოლოოდ და მთლიანად გადაბარგდნენ კაცობრიობის დაუძინებელი მტრის - პირსისხლიანი ფაშიზმის ბანაკში.

მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ მავნებელთა სიღნაღის ორგანიზაცია, რომელიც აღმოჩენილ და განადგურებულ იქნა შინსახკომის ორგანოების მიერ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყველა ბნელ ძალებთან, კულაკებთან, მენშევიკებთან, მეფის ყოფილ ოფიცრებთან, სისხლის სამართლის დამნაშავეებთან და საერთოდ ყველა იმათთან, ვინც უკმაყოფილო იყო სოციალიზმის საქმის წინსვლით.

მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ მავნებელთა სიღნაღის ორგანიზაციის საჯარო პროცესმა, რომელმაც ხუთ დღეს გასტანა, მთელი სიცხადით გვიჩვენა, თუ რა გააფთრებით იბრძვიან კლასობრივი მტრის ნაბოლარები ჩვენი ბედნიერი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციის ერთერთმა ხელმძღვანელმა, ხალხის უბოროტესმა მტერმა ა. წითლიძემ თავის უკანასკნელ სიტყვაში ყველასათვის გასაგებად ჩამოაყალიბა მემარჯვენეთა საბოლოო მიზნები და ამოცანები. „ჩვენს დროშაზე,—სთქვა მავნებელდივერსანტმა წითლიძემ, — ეწერა: საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაშლა, საბჭოთა კავშირის დამხობა და კაპიტალიზმის რესტავრაცია. ჩვენ ვამზადებდით ნიადაგს შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. ჩვენი პოლიტიკა იყო ომის პოლიტიკა, ვებრძოდით მშვიდობიანობას, ვაბამდით კავშირს ფაშიზმთან, ყველა ბნელ ძალებთან. ვეწეოდით შპიონაჟს, ტერორს, მავნებლობას, რომ ამით ძირი გამოგვეთხარა საბჭოთა კავშირისათვის, საქართველო გადაგვექცია კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიად და ხალხი დაგვებრუნებინა შიმშილისაკენ, სიღატაკისა და გაჭირვებისაკენ".

კადრების შერჩევას და გადაბირებას, როგორც ეს სიღნაღის პროცესმა გვიჩვენა, მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ისინი ამ მხრივ მთლიანად და მოხერხებულად იყენებდნენ იმ მზაკვრულ მეთოდებს, რომლებითაც ფაშიზმი სარგებლობს ხოლმე თავისი აგენტების შესაგროვებლად სხვადასხვა ქვეყნებში.

რაში გამოიხატება კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციისათვის „კადრების" შეგროვების ეს ხერხი და მეთოდი?

მკითხველებისათვის ეს საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, ჩვენ აქ გვინდა განვიხილოთ რამდენიმე კონკრეტული ფაქტი, რაც სიღნაღის პროცესთან დაკავშირებით გამოაშკარავდა.

ბრალდებული ვ. მახოშვილი, რომელსაც მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ მავნებელთა სიღნაღის ორგანიზაციაში მუშაობისათვის დახვრეტა მიესაჯა, წინათ სახალხო მოსამართლედ მუშაობდა. შარშან დეკემბერში სასამართლოში აღიძრა შრომის საქმე — მუშები ხელფასის მიუღებლობაზე უჩიოდნენ ელდარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას. მავნებელთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ა. წითლიძემ კარგად იცოდა, რომ ამ მეურნეობის ყოფილი დირექტორი კ. აბაშიძე შეიარაღებულ ბანდას აწყობდა და ომის შემთხვევაში საბჭოთა კავშირისათვის ზურგში ლახვარი უნდა ჩაეცა. ხელფასის გაუცემლობაც წინასწარ განზრახვით იყო მოწყობილი, რომ ამას უკმაყოფილება გამოეწვია მუშებში.

მიმდინარე წლის თებერვალში ა. წითლიძემ, რომელიც სიღნაღში რაიკომის მდივნად მუშაობდა, გამოიძახა მოსამართლე მახოშვილი და უთხრა, მუშების მოთხოვნილება უკანონოა და აღძრული საქმე უნდა მოისპოს. მახოშვილი, რომელიც თავიდანვე არ აქცევდა ყურადღებას რევოლუციური კანონიერების დაცვას, ადვილად დაეთანხმა წითლიძეს და მუშებს ძიებაზე უარი უთხრა.

გავიდა რამდენიმე დღე. მახოშვილი მეორედ გამოიძახა წითლიძემ და გამოჰკითხა მას, თუ რამდენი გასარჩევი საქმე იყო დაგროვილი სასამართლოში, და როცა შეიტყო ასეთი საქმეების სიმრავლე, წინადადება მისცა მახოშვილს შეენელებინა საქმეების დანიშვნა, — დრო მაინც არ გვქნება, სოფლებზე უნდა მიგამაგროო. თანაც დაავალა ზოგიერთ საქმეებზე განაჩენი მასთან, როგორც რაიკომის მდივანთან, შეთანხმებით გამოეტანა. — მე რაიონს ვხელმძღვანელობ, შენ პარტიის წევრი ხარ და უნდა დამემორჩილოო.

მახოშვილი ამაზეც დაეთანხმა გარეწარ წითლიძეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ა. წითლიძემ მესამედ გამოიძახა მახოშვილი და წაუკითხა მას თითქოს რაიკომის ბიუროს დადგენილების პროექტი მისი სამუშაოდან მოხსნისა და პარტიიდან გარიცხვის შესახებ. მიზეზი რომ ჰკითხა, მახოშვილმა ასეთი პასუხი მიიღო: შრომის საქმის ძიებაზე ელდარის საბჭოთა მეურნეობის მუშებისათვის უარი გითქვამს, გაურჩეველი საქმეები დაგროვებია. ამის გამო საჩივარია აღძრული შენს წინააღმდეგ და მისი გარჩევა ჩვენ მოგვანდესო.

წითლიძემ შემდეგ ნაცადი ხერხი გამოიყენა და მიმართა მახოშვილს: ნუ დარდობ. სანამ მე რაიკომის მდივანი ვარ, ვერავინ ვერაფერს დაგაკლებსო.

შემდეგ მან გააგებინა მახოშვილს, რომ სიღნაღში არსებობდა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლის წევრიც ის უნდა გამხდარიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მას, რევოლუციური კანონიერების დარღვევის საბაბით, სასჯელს დაადებდნენ. მახოშვილი, რომელიც თავიდანვე მერყეობას იჩენდა პარტიაში, უყოყმანოდ დაეთანხმა წითლიძეს, ჩაება კონტრრევოლუციური ორგანიზაციის პრაქტიკულ საქმიანობაში.

აი გადაბირების მეორე ფაქტი:

ა. კობეშავიძე 1927 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. იყო კომკავშირელი და ამავე დროს მუშაობდა ტროცკისტულ ორგანიზაციაში. მას შემდეგ, რაც იგი გამოამჟღავნეს, კობეშავიძე ჩამოშორდა ტროცკისტულ ორგანიზაციას, მაგრამ მისი გავლენისაგან მთლიანად მაინც ვერ განთავისუფლდა.

1936 წელს ა. კობეშავიძე სიღნაღში გადაიყვანეს დამცველთა კოლეგიის წევრად. იქ იგი გაეცნო ამავე კოლეგიის თავმჯდომარეს, მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთერთ წევრს ვერულაშვილს. ამ უკანასკნელს დავალებული ჰქონდა კობეშავიძის გადაბირება. წინასწარი სამზადისი მან ამ მხრივ ფრთხილად დაიწყო. ვერულაშვილმა ჯერ კობეშავიძის წარსული შეისწავლა და შემდეგ გააბა მასთან ანტისაბჭოთა საუბარი, თითქოს შემცდარი იყო პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა კოლმეურნეობათა მშენებლობისა და მრეწველობის განვითარების საქმეში. ეს საუბარი კობეშავიძეში ერთგვარ „თანაგრძნობას" იწვევდა მტრების მიმართ. მიუხედავად ამისა, ვერულაშვილმა დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, რადგან იგი პარტიიდან გარიცხეს, სამუშაოდან მოხსნეს და დააპატიმრეს.

ა. კობეშავიძის გადასაბირებლად დაწყებული მუშაობის გაგრძელება მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციურ - მავნებლური ორგანიზაციის ერთერთმა ხელმძღვანელმა, რაიაღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ, შ. ალავერდაშვილმა იკისრა და კიდევაც შეასრულა. ერთ დღეს მან თავის ბინაზე მიიწვია კობეშავიძე და ჰკითხა — ვერულაშვილს შენთან ჰქონდა თუ არა რამეზე საუბარიო. კობეშავიძემ ჯერ იუარა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ამის გარშემო შ. ალავერდაშვილმა ყველაფერი იცოდა, საუბრის არსებობა დაუდასტურა.

— მე ყველაფერი ვიცი,—უთხრა ალავერდაშვილმა კობეშავიძეს, — შენ არც წარსული გაქვს კარგი. ტროცკისტი იყავი, ამას ისიც ემატება, რომ შენთან ვერულაშვილს ანტისაბჭოთა საუბარი ჰქონდა და იგი არ გაამხილე, ამისათვის პასუხისგება არ აგცდება, საკითხს რაიკომის ბიუროზე დავსვამთ, პარტიის კანდიდატობიდან გაგრიცხავთ და ადვილი მოსალოდნელია რეპრესიაც განიცადოო. თან დასძინა, რომ თუ იგი მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მასთან ერთად იმუშავებდა, ყველა ამას აპატიებდნენ, ხელს შეუწყობდნენ და დააწინაურებდნენ.

ა. კობეშავიძეს საშუალება ჰქონდა ეცნობებინა ეს შინსახკომის ორგანოებისათვის, მაგრამ მან ეს გზა არ აირჩია, ყველაფერზე დაეთანხმა ალავერდაშვილს და ენერგიულად მოჰკიდა ხელი მის დავალებათა შესრულებას. კობეშავიძე განზრახ დამახინჯებულად უხსნიდა მშრომელებს საბჭოთა კანონებს, იწვევდა სასამართლოს და დაცვის ორგანოების მავნებლურ დისკრედიტაციას, ხელს უწყობდა საქმეების გაჭიანურებას, კანონის საწინააღმდეგო განაჩენის გამოტანას და სხვ.

ასეთივე მეთოდით გადაიბირა მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციამ სოფ. საქობოს შვიდი ნოემბრის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ნ. ჯავაშვილი. ამ საქმის მოგვარება შ. ალავერდაშვილმა და წითლიძემ კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციის წევრს, საქობოს სოფლსაბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს გ. მეტრეველს დაავალეს.

შარშან, როცა სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა სწარმოებდა, გ. მეტრეველი გამოცხადდა 7 ნოემბრის სახელობის კოლმეურნეობაში და ხელმოწერილი თანხა ნ. ჯავაშვილთან ერთად მექანიკურად გადაასწორა: ვისაც 70 მანეთზე ჰქონდა ხელი მოწერილი, 140 მანეთად გაუხადა, ვინც 100 მანეთზე მოაწერა ხელი, მას ეს ციფრი 200 მანეთად გადაუსწორა და ა. შ.

ნ. ჯავაშვილმა თუმცა იგრძნო ეს დამახინჯება, მაგრამ საჭიროდ არ სცნო შეეტყობინებინა ეს შინსახკომისათვის.

შემდეგი შეხვედრის დროს გ. მეტრეველმა ასეთი საუბარი გაუმართა ნ. ჯავაშვილს: სესხზე ხელისმოწერის სიები რომ გადავასწორეთ და ამით ხალხში უკმაყოფილება შევქმენით, ეს დანაშაულია. ამ დანაშაულში შენც მიგიძღვის წილი. წითლიძესთან და ალავერდაშვილთან მე კარგ ურთიერთობაში ვარ. შემიძლია მათი დახმარებით მთელი ეს დანაშაული შენ მოგახვიო თავზე.

უყოყმანოდ დათანხმდა ნ. ჯავაშვილი გ. მეტრეველის ამ წინადადებაზე. მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ - მავნებლური ორგანიზაციის დავალებით მან ხელი მიჰყო კოლმეურნეობის დამანგრეველ მუშაობას.

მაგრამ მავნებლებსა და დივერსანტებს დანაშაულზე წაასწრეს.

მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური, მავნებელ - დივერსანტ-ტერორისტთა ორგანიზაცია თავის „კადრებს" იმგვარად ანაწილებდა, რომ მათს მუშაობას რაც შეიძლება მეტი შედეგი გამოეღო. ფაშიზმის ეს შხამიანი გველები ამით ცდილობდნენ დაემხოთ მსოფლიოში ერთადერთი, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა — საბჭოთა კავშირი და აღედგინათ კაპიტალიზმი. მაგრამ მოსტყუვდნენ. შინსახკომის ფხიზელმა თვალმა აღმოაჩინა და გაანადგურა ამ საზიზღარ მავნებელთა და მკვლელთა ბუნაგი და მთელს ქვეყანას დაანახვა მათი მახინჯი ყაჩაღური სახე.

სიღნაღის პროცესმა დაგვანახვა, რომ მტრის გავლენის ქვეშ ადვილად ექცევიან ისინი, ვინც არ იჩენს გულწრფელობას პარტიისა და მთავრობის წინაშე, მერყევი და მიტმასნილი ელემენტები. მტრები პირველ რიგში სწორედ ასეთი ნიშნის ადამიანებს იღებენ მიზანში, იბირებენ მათ და აკეთებინებენ მავნებლურ საქმეებს.

---

*) მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ მავნებელთა სიღნაღის ორგანიზაციის პროცესის მასალების მიხედვით.

სსრ კავშირის მიწსახკომის, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ნაკრები ცნობა

1937 წ. 15 სექტემბრისათვის თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების მიმდინარეობის შესახებ

რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები	მომკილია — სულ — ათას ჰექტარობით	მომკილია — სულ — %%-ით გეგმის მიმართ	აქედან — კოლმეურნეობებში (%%-ით გეგმის მიმართ)	საბჭოთა მეურნეობებში — საბჭ. მეურნ. სახ. კომის. (%%-ით გეგმის მიმართ)	საბჭოთა მეურნეობებში — მიწსახკომის (%%-ით გეგმის მიმართ)	საბჭოთა მეურნეობებში — კვებ. მრეწვ. სახ. კომის. (%%-ით გეგმის მიმართ)	გალეწილია — სულ — ათას ჰექტარობით	გალეწილია — სულ — %%-ით მომკილის მიმართ	აქედან — კოლმეურნეობებში (%%-ით მომკილი ფართობის მიმართ)	აქედან — საბჭ. მეურნ. სახ. კომ. საბჭ. მეურნეობებში (%%-ით მომკილი ფართობის მიმართ)	კოლმეურნეობებში — ძნებად შეკრულია და აღებულია კომბაინებით (%%-ით მომკილი ფართობის მიმართ)	კოლმეურნეობებში — დაზვინულია, დაწყობილია ფარდულ ქვეშ, გალეწილია და აღებულია კომბაინებით (%%-ით მომკილი ფართობის მიმართ)	აღებულია კომბაინებით — მტს კოლმეურნეობებში (%%-ით გეგმის მიმართ)	აღებულია კომბაინებით — საბჭ. მეურნ. სახ. კომ. საბჭ. მეურნეობებში (%%-ით გეგმის მიმართ)
რსფს რესპ.	59957	93	94	86	93	99	35960	60	58	92	89	85	80	86
უკრაინის სსრ	15017	100	100	100	100	100	13763	92	92	99	93	100	93	100
ბელორუსიის სსრ	2014	99	100	100	100	100	1027	51	51	66	97	94	43	64
აზერბეიჯანის სსრ	699	95	97	100	99	100	594	85	85	100	76	76	75	103
საქართველოს სსრ	415	93	97	—	92	100	314	76	78	—	67	83	109	—
სომხეთის სსრ	319	88	89	—	2	100	206	65	67	—	100	100	71	—
თურქმენეთის სსრ	142	95	94	89	99	—	112	79	79	89	14	14	70	63
უზბეკეთის სსრ	1030	87	88	81	100	100	865	84	83	100	29	29	77	93
ტაჯიკეთის სსრ	444	84	86	92	88	100	304	68	68	100	3	3	108	157
ყაზახეთის სსრ	3982	95	96	88	91	94	2906	73	72	85	58	92	92	84
ყირგიზეთის სსრ	502	67	66	67	65	96	337	67	68	74	60	84	96	71
რსფსრ მხარეები, ოლქები და ავტ. რესპუბლიკები:														
აზოვ-შავიზღვის მხარე	5294	100	100	100	100	100	5132	97	96	99	78	100	101	104
შორეულ-აღმოსავლეთის მხარე	427	77	78	58	83	91	299	70	68	98	96	77	107	71
დასავლეთ ციმბირის მხარე	4235	73	75	64	61	82	2085	49	47	79	82	63	57	60
კრასნოიარსკის მხარე	1087	72	75	40	98	79	252	23	21	61	95	33	46	29
ორჯონიკიძის მხარე	1872	100	100	100	87	100	1671	89	89	100	80	97	91	103
ვორონეჟის ოლქი	3766	100	100	100	100	100	2382	63	62	88	100	97	57	92
აღმოსავლეთ ციმბირის ოლქი	516	55	56	26	43	43	81	16	15	56	86	13	35	22
გორკის ოლქი	1380	100	100	98	96	100	575	42	41	54	100	93	39	75
დასავლეთის ოლქი	2021	100	100	100	98	96	1132	56	56	60	84	96	41	56
ივანოვოს ოლქი	714	99	100	91	96	98	405	57	58	76	93	90	82	85
კალინინის მხარე	1208	100	100	100	87	100	613	51	52	77	98	96	36	29
კიროვის ოლქი	1866	97	98	98	86	89	566	30	30	62	99	82	49	109
კუიბიშევის ოლქი	3621	96	96	95	95	100	1996	55	52	88	95	77	82	94
კურსკის ოლქი	2682	100	100	100	99	100	1874	70	70	85	100	100	61	84
ლენინგრადის ოლქი	1082	97	97	100	98	100	473	44	43	63	98	90	63	88
მოსკოვის ოლქი	2674	100	100	100	100	100	1470	55	54	93	100	99	54	94
ომსკის ოლქი	1694	72	73	70	86	90	978	58	60	86	85	72	63	71
ორენბურგის ოლქი	2828	99	100	96	94	94	2246	79	77	97	82	93	91	99
სარატოვის ოლქი	2776	97	96	93	100	100	1971	71	69	89	80	81	98	93
სვერდლოვსკის ოლქი	1690	89	90	68	85	54	517	31	31	47	94	70	60	51
ჩრდილოეთის ოლქი	813	94	93	94	100	85	200	25	24	50	28	87	74	46
სტალინგრადის ოლქი	3036	100	100	99	100	100	2505	83	81	97	76	99	95	105
ჩელიაბინსკის ოლქი	2462	83	86	70	86	100	1742	71	68	96	87	80	83	72
იაროსლავლის ოლქი	615	83	83	93	81	100	288	47	48	51	98	74	57	62
თათართა ასსრ	2212	99	99	94	89	100	850	38	37	60	99	79	65	83
ბაშკირეთის ასსრ	2332	92	93	79	83	99	843	36	32	95	92	80	56	79
დაღესტნის ასსრ	269	84	97	100	100	100	184	68	79	97	83	83	106	116
ბურიატ-მონღოლეთის ასსრ	302	89	89	—	41	—	20	7	7	—	91	11	47	—
ყაბარდო-ბალკარეთის ასსრ	100	99	100	100	79	100	90	90	89	99	88	65	109	110
ყალმუხეთის ასსრ	133	100	100	100	98	100	97	73	69	91	54	94	108	93
კარელიის ასსრ	42	95	96	—	—	—	9	21	22	—	100	83	110	—
კომის ასსრ	49	90	93	—	88	—	10	20	19	—	17	88	156	—
ყირიმის ასსრ	743	100	100	100	100	100	743	100	100	100	85	100	97	104
მარის ასსრ	353	98	99	—	99	100	99	28	28	—	100	80	68	—
მორდვის ასსრ	679	100	100	100	100	100	326	48	48	60	100	93	48	66
ვოლგის გერმანელთა ასსრ	1047	99	100	100	100	97	718	69	67	95	73	89	88	96
ჩრდილო ოსეთის ასსრ	28	98	100	—	—	82	26	93	93	—	96	86	83	—
უდმურტთა ასსრ	680	99	100	100	100	100	208	31	31	52	100	87	66	84
ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ	112	87	99	100	100	99	102	91	91	100	93	99	131	103
ჩუვაშეთის ასსრ	464	100	100	-	100	98	178	38	37	—	100	97	73	—
იაკუტთა ასსრ	55	100	100	77	—	—	4	7	—	96	—	—	—	87
უკრაინის სსრ ოლქები და ავტ. რესპუბლიკ.														
ვინიცის ოლქი	1632	100	100	100	100	100	1341	82	82	95	100	100	95	76
დნეპროპეტროვსკის ოლქი	2970	100	100	100	100	100	2920	98	99	100	85	100	95	102
დონეცის ოლქი	1736	100	100	100	100	100	1680	97	97	99	77	100	103	99
კიევის ოლქი	1949	100	100	100	100	100	1652	85	85	88	100	100	97	70
ოდესის ოლქი	2746	100	100	100	100	100	2634	96	96	100	89	99	94	102
ხარკოვის ოლქი	2570	100	100	100	100	99	2372	92	93	95	100	100	78	90
ჩერნიგოვის ოლქი	1117	100	100	100	98	100	873	78	79	86	100	100	80	85
მოლდავეთის ასსრ	297	100	100	—	100	100	291	98	98	—	100	100	94	—
ყაზახეთის სსრ ოლქები														
აქტიუბინის ოლქი	241	93	95	75	99	77	217	90	91	88	54	100	91	66
ალმა-ატის ოლქი	429	91	90	76	94	100	242	56	56	86	66	86	88	76
აღმოსავლეთ-ყაზახეთის ოლქი	729	91	91	89	—	84	469	64	63	75	62	84	82	88
დასავლეთ-ყაზახეთის ოლქი	288	100	100	100	—	99	240	83	86	79	56	100	120	99
ყარაგანდის ოლქი	186	92	98	97	—	100	170	59	59	70	47	88	102	92
კუსტანაის ოლქი	507	94	99	80	—	100	372	73	72	82	49	92	90	73
ჩრდილო-ყაზახეთის ოლქი	1048	100	100	90	—	100	89	77	76	90	60	95	101	87
სამხრეთ-ყაზახეთის ოლქი	454	94	96	96	100	100	387	86	85	97	63	98	99	97
უზბეკეთის სსრ ავტ. რესპუბლიკა														
ყარა-კალპაკთა ასსრ	6	40	36	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
აზერბეიჯანის სსრ ავტ. რესპუბლიკა														
ნახჭევანის ასსრ	36	—	—	—	—	—	28	78	78	—	67	69	—	—
სულ სსრკ-ში	84521	94	95	89	94	99	56388	67	65	92	87	87	83	88
იყო 1937 წ. 10/IX	81916	91	92	83	87	98	52983	65	63	92	73	86	80	83
იყო 1936 წ. 15/IX	82023	94	96	90	96	96	65788	80	80	90	80	92	104	86

შენიშვნა: ყირგიზეთის სსრ, გორკის ოლქის, კუიბიშევის ოლქის, ბაშკირეთის ასსრ შესახებ ცნობები 10 სექტემბრისაა.

განახლებული თბილისი

სურათზე: რუსთაველის პროსპექტი რეკონსტრუქციის შემდეგ. მალე აქ ტროლეიბუსები გაივლიან.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ახალი კინოსურათები

„პუგაჩოვი“

ლენინგრადი, (ჩვენი კორესპ.). „ლენფილმის“ კინოსტუდიის ერთ-ერთი ატელიე გადაქცეულია ეკატერინე II-ის სასახლის მდიდრულ დარბაზად. აქ რეჟისორი პ. პ. პეტროვ-ბიტოვის ახალი ფილმის „პუგაჩოვის“ კადრების გადაღებაა: ეკატერინეს შეატყობინეს, ყაზანის შემდეგ პუგაჩოვმა სარატოვიც აიღოო. ეკატერინე თურქეთთან ზავსა სდებს და პუგაჩოვის წინააღმდეგ გზავნის რეგულარულ ჯარებს სუვოროვის სარდლობით.

ამ ეპიზოდის გადაღებით მთავრდება მუშაობა სურათზე, რომელიც მოიცავს პუგაჩოვის აჯანყების მთელ პერიოდს — პირველი ბუნდოვანი ხმებიდან „პეტრე III“-ის გამოჩენის შესახებ ემელიან პუგაჩოვის ჯარების განადგურებამდე და მისი საჯაროდ სიკვდილით დასჯამდე.

ისტორიულმა მოვლენებმა, რომლებიც მწერალმა-ქალმა ო. ფორშმა საფუძვლად დაუდო სცენარს, შესაძლებლობა მისცეს რეჟისორს შეექმნა სახალხო აჯანყების დიდი სურათი.

მასობრივ სცენებს ფილმში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. დიდ მინდორზე ქალ. უფასთან „ლენფილმის“ გადამღებმა ჯგუფმა მთელი რიგი შენობები ააგო. აქ გადაიღეს ურალის სამსხმელო ქარხნის საამქროები, სადაც ზარბაზნებს აკეთებდნენ პუგაჩოვის გლეხური პოლკებისათვის, აქ ხმაურობდა ძველი ყაზანის ბაზარი, აქვე გადაიღეს პუგაჩოვის ბანაკი ორენბურგის კედლებთან, აქ „იწვოდა ყაზანი“. მასობრივ სცენებში ათასამდე კაცი იღებდა მონაწილეობას.

იუკში, ლენინგრადთან, აგებულ იქნა ბელოგორის ციხე, რომელიც ასე საუცხოოდ აწერილი აქვს პუშკინს: აქ მას იერიშით იღებდნენ პუგაჩოვის პოლკები. ხოლო ლენინგრადში, კინოსტუდიის ეზოში გადაიღეს პუგაჩოვის სიკვდილით დასჯა.

ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ: დამსახურებული არტისტები ქ. ვ. სკორობოგატოვი (პუგაჩოვი), კ. მ. მუხუტდინოვი (სალავათი — აჯანყებულ ბაშკირთა ბელადი), ი. ო. მალიუტინი (ცოლოდსკოი), ე. პ. კარიაკინა (პუგაჩოვის ცოლი), ვ. ი. უსენკო (ტვოროგოვი), მ. ს. პავლიკოვი (ფილიმონი) და სხვები. ოპერატორია — ა. ნაზაროვი, მხატვარი — ე. ხიგერი.

სურათის მონტაჟი უკვე დამთავრებულია. დარჩენილია მხოლოდ გახმოვანება.

სურათი გამოშვებული იქნება დიდი პროლეტარული რევოლუციის 20 წლისთავის საზეიმო დღეებში.

O

„მარშლის ბავშვობა“

ლენინგრადიდან აზოვის ზღვის პირისაკენ გაემგზავრა „ლენფილმის“ კინოფაბრიკის არტისტთა ჯგუფი. იმ ადგილებში, სადაც საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ ს. ბუდიონის ბავშვობამ ჩაიარა, დამთავრდება ახალი დიდი ხმოვანი კინოფილმის „მარშლის ბავშვობის“ გადაღება. ეს სურათი რომლის სცენარი ამხ. ვსევოლოჟსკიმ და ლეო მურმა დასწერეს, გვიჩვენებს ს. მ. ბუდიონის ბავშვობის წლებს, მის ცხოვრებას ყაზახთა სტანიცაში, როდესაც იგი დაახლოვებით 12-13 წლისა იყო.

სურათის თემა არ განისაზღვრება მარშლის ბავშვობით. სურათის დასასრულ, მაყურებლის თვალწინ გაივლიან ცხენოსანი არმიის ნაწილები თავისი სახელოვანი სარდლის ს. მ. ბუდიონის მეთაურობით.

სურათს სდგამს რეჟისორი ლებედევი.

იგი გამოშვებული იქნება მუშ.-გლეხ. წითელი არმიის 20 წლისთავისათვის.

ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირი ბადენში

მეცხრე ტური

მეცხრე ტურში ენერგიული თამაშით კერესმა გამარჯვება მოიპოვა რაგოზინთან და ამის შემდეგ მტკიცედ ჩაუდგა სათავეში ტურნირს. მისმა უახლოესმა მოქიშპეებმა ფაინმა და კაპაბლანკამ ამ დღეს მხოლოდ ნახევარ-ნახევარი ქულა შემატეს. პირველმა გააკეთა ყაიმი ფლორთან, ხოლო მეორემ — პეტროვთან. დაუმთავრებელი დარჩა რეშევსკი — ელისკაზესის პარტია, რომელიც გადაიდო დაახლოვებით თანასწორ მდგომარეობაში.

ტურნირის მდგომარეობა ასეთია: კერესი + 7, კაპაბლანკა + 5, ფაინი + 4½ (2 გად.), ფლორი + 4 (1 გად.), რეშევსკი + 3 (4 გად.), რაგოზინი + 3½, ელისკაზესი + 2 (2 გად.) და პეტროვი + 2 (1 გად.).

მეათე ტურში ერთმანეთს შეხვდებიან ელისკაზესი — კაპაბლანკა, რაგოზინი — რეშევსკი, კერესი — ფაინი და პეტროვი — ფლორი.

მაესტროთა ტურნირი

საქართველოს საჭადრაკო სექციას გადაწყვეტილი აქვს ნოემბრის შუა რიცხვებში მოაწყოს მაესტროთა ტურნირი თბილისში. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს ოთხი მაესტრო და პირველი კატეგორიის ექვსი მოჭადრაკე. წინასწარ ნავარაუდევია მაესტროთა ტურნირზე მოწვეულ იქნან: რაგოზინი (ლენინგრადი), მაკაგონოვი (ბაქო), კასპარიანი (სომხეთი) და გოგლიძე (თბილისი).

თვითმფრინავები „ანტ-25“ ლენინგრადში

ლენინგრადი, 21 სექტემბერი (ტელეგრაფით [illegible]). [illegible] დან გემით მოსული [illegible] თვითმფრინავი „ანტ-25“, რომლითაც საბჭოთა კავშირის გმირებმა ამხ. გრომოვმა, იუმაშევმა და დანილინმა მოახდინეს თავისი გმირული ძირდაუშვებელი გადაფრენა მარშრუტით: მოსკოვი—ჩრდილოეთის პოლუსი — ჩრდილოეთი ამერიკა.

თვითმფრინავის მოტორი და ყველა ხელსაწყო საუცხოო მდგომარეობაშია.

25 სექტემბერს მოელიან საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის თვითმფრინავს.

ოთარ ეგაძე.

რადიომოხსენება

23 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, განათლების სახალხო კომისარი ამხ. კ. ჭკუასელი რადიოთი გააკეთებს მოხსენებას ახალი სახელმძღვანელოს მიხედვით სკოლებში სსრ კავშირის ისტორიის სწავლების შესახებ.

შემთხვევები

● **ბოროტი ხულიგანი.** ლერმონტოვის ქ. № 11 სახლში მცხოვრები დ. ანდრონიკაშვილი სახლში სისტემატურად დებმუშებს მართავდა და მეზობლებს შეურაცხყოფას აყენებდა. 17 სექტემბერს საღამოს მან სცემა ერთერთ მეზობელ ქალს. მილიციის მე-9 განყოფილების მუშაკებს, რომლებიც შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ, მან წინააღმდეგობა გაუწია და ცემა დაუპირა. ბოროტი ხულიგანი შეიპყრეს. მისი საქმე ამ დღეებში სასამართლოს გადაეცემა.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

22 სექტემბერს.

ლენინიზმის კაბინეტი — ლექცია: ლენინ - სტალინის მოძღვრება ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ. ქართ. და რუს. ენებზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სტალინური კონსტიტუცია და მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცება. ქართ. ენაზე დასაწყ. საღ. 8 საათზე.

O

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი იუწყება, რომ 22 სექტემბერს, საღ. 7 საათზე (რაიკომის სხდომათა დარბაზში) რაიონის პროპაგანდისტებისათვის რუსულ ენაზე შესდგება მოხსენება თემაზე: „პეტრე I-ის რეფორმები და რუსეთის იმპერიის შექმნა“.

O

22 სექტემბერს, საღ. 7 ს. 30 წ. საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. 26 კომისრის სახ. რაიკომის პარტკაბინეტში რაიონის პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის ქართულ ენაზე შესდგება მოხსენება თემაზე: „უცხოეთის სახელმწიფოებისა და მათი აგენტების, ტროცკისტ-ბუხარინელ ფაშისტ მზვერავთა დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობის მეთოდები“. მომხსენებელი ამხ. ჩიჩუა.

O

22 სექტემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ლენრაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „კომინტერნი ერთიანი პროლეტარული ფრონტისათვის და ფაშიზმის და ომის საწინააღმდეგო სახალხო ფრონტისათვის ბრძოლაში“. მომხსენებელი ამხ. ბრეგვაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ე. ბედია

დ. ლომთაძე

გამარჯობა, თბილისო!

გადახედეთ თბილისს კომკავშირული ხეივნიდან, ან ფუნიკულორიდან. გაახალგაზრდავებული, გაზრდილი და გამშვენიერებული დედაქალაქი, ცათამწვდენი სახლებით და გამწვანებული მასივებით, ხეივნებიანი პროსპექტებით და გულღიად გაშლილი მიდამოებით ჯადოქრულად დახატულ პანორამასავით გადაგეშლებათ თვალწინ.

— „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო“!

სადა ხართ დიდო პოეტებო—ილია, ვაჟა, აკაკი! თქვენი წმინდა საფლავები, სადაც ახლა ნორჩ-პიონერთა და კომკავშირელთა ჯგუფები დადიან, რომ მადლობით მოიხსენიონ თქვენი ღვაწლი და მადლიანი შემოქმედება, ოლიმპიური სიმშვიდით გადასცქერიან განახლებულ დედა-ქალაქს.

კომკავშირული ხეივანი! აქ იყო თბილისის კრემლი — ქალისი, შემდეგში ნარიყალად რომ შეეცვალა სახელი. სამჯერ აათხრეს ქალისი თემურ-ლენგის ურდოებმა, სელჯუკებიც იყვნენ, ირანის მპყრობელთა ლაშქარიც მრავალჯერ შემოსევია ამ მიდამოებს, თურქებიც...

ახლა აქ ორკესტრი უკრავს და დიდძალი ხალხი მოსულა, რომ დაისს სიგრილეზე დაისვენონ. რადიორუპორიდან ახალი ამბები მოისმის:

— ჟენევაში ერთა ლიგის საბჭოს სხდომაა, ჩინელებმა იაპონელ თავდამსხმელთა თვითმფრინავი ჩამოაგდეს, ესპანელი ფაშისტების ბანაკიდან რესპუბლიკელების მხარეს ერთი ასეული გადმოვიდა, პოლონეთში გლეხთა გამოსვლებია, მილანში და ჰამბურგში რევოლუციური ფურცლები გაავრცელეს...

ავლაბარში კულტურისა და დასვენების პარკი გაუშენებიათ. სასაფლაო იყო წინათ აქ. ძველად შილაფლავის გორას ეძახდნენ. ყოველ კვირადღეს მოდიოდნენ ძველი ყარაჩოღელები, რომ მიცვალებულ მეგობართა ხსოვნის აღნიშვნის საბაბით, თასით შეესვათ წითელი ღვინო. „ქალაქის მამებმა“ ყარაჩოღელებს წაართვეს ეს ადგილი და „წმიდა“ ხოჯევანქის სახელზე სასაფლაო მოაწყეს.

... ახალ სანაპირო ბაღში ზის მოხუცი ყურთმაჯიანი ჩოხით, ბავშვები დახტიან, ცელქობენ. მშობლები ფანჩატურებში ისვენებენ.

ძველად აქ ვინ მოვიდოდა დასასვენებლად! აქ დერციკების სახელოსნოები იყო, მეეტლეებს თავლები ჰქონდათ, „სათონების“ სახლებიც იყო მუდმივი აყალ-მაყალით და პოლიციელებით. მტკვარი ორივე მხრიდან გარს ევლებოდა მადათოვის კუნძულს. მოხუცო, ძველი დროება ხომ არ გახსენდება? სასეირნოდ ორთაჭალაში რომ დადიოდით ბაბაჭუასთან, საბურთალოზე „ბრუციანის“ დუქანში არღანი უკრავდა, ავლაბარში და ვერაზე საჭიდაოდ იყრიდნენ თავს, ვაკეზე და კუკიაში ყველიერში კრივი იმართებოდა...

იქნებ გაკვირვებს, მოხუცო ახალი დროება!

მტკვრის ბინძური სანაპიროები გრანიტით შემოსეს, მწვანითმოხილმა ფართო სანაპირო ქუჩამ, სადაც ავტომობილები გეომეტრიული წესრიგით და თავაწყვეტილი სისწრაფით დაჰქრიან, — ულიმღამო პეიზაჟი მხატვრულ ლანდშაფტად გადააქცია. ვორონცოვის შეხუთული მოედანი, ახლა ფართოდ გადაშლილი მარქსის მოედანი, ვეებერთელა შენობებით გარშემორტყმული ტროლეიბუსების, ავტომობილების, ტრამვაისა და უთვალავ ავტომობილთა ქროლვის ასპარეზადაა გადაქცეული. აშმორებული და ბინძური მადათოვის კუნძულის მაგიერ — შროშანებით, გეაცინტებითა და ნაძვებით დამშვენებული პარკია. ტყუილად იწუხებს მტკვარი თავს, ფუჭია მისი ცდა — გადაანგრიოს გრანიტის კალაპოტი. მტკვრიდან შუაბაზარის მიდამოებს საფრთხე აღარ მოელის. მისი მღვრიე ტალღები ვერასოდეს ველარ გადმოიჭრებიან სანაპიროს მწვანე მოლზე. მტკვარი მოთვინიერებულია.

გავიაროთ ქვევით! ახალი სანაპირო ქუჩა გაჰყავთ მტკვრის მარცხენა მხარეზეც. რა ყოფილან ბოლშევიკები? არც ტოპოგრაფიული, არც გეოგრაფიული, არც სტიქიური, თუ არასტიქიური დაბრკოლებანი მათთვის არ არსებობს. კალიაევის აღმართი, ვიწრო და მტვერიანი, ფართო პროსპექტით შეუცვლიათ, ავლაბარი... ძველი ავლაბარი მიხლართულ-მოხლართული ქუჩაბანდებით, ახლა ჭაბუკური სიკეკლუცით გამოიყურება. უცხო კაცი რომ აქ მიიყვანო იფიქრებს, ესაა ქალაქის ცენტრიო. შეცვლილა და განახლებულა ნავთლუღიც. რა იყო აქ ამ ოთხიოდე წლის წინათ? ტალახი და ანტისანიტარია. შორს მოსჩანდა რადიოსადგურის ორი ანძა, განცვიფრების ნიშანივით რომ აუდებულიყვნენ იშვიათი გამვლელის თვალწინ. ღამით აქ ძაღლების ყეფა და მამლის ყივილი ისმოდა, ახლა მამლის მაგიერ განთიადისას ქარხანათა საყვირები აღვიძებენ მშრომელთ. წისქვილი - კომბინატი, მაკარონის ფაბრიკა, ქაღალდის ფაბრიკა, რკინიგზის საწარმოები, საკანდიტრო ფაბრიკა, მუსიკალურ ინსტრუმენტთა ფაბრიკა და მრავალი სხვა, ხოლო ბოლოს—თბილისის მრეწველობის სიამაყე, ფეხსაცმლის ფაბრიკა-გიგანტი.

ახლა ნაძალადევი ნახეთ, ღრმაღელესკენ გაიარეთ, დიდუბე დაათვალიერეთ. ღრმაღელეში შესანიშნავი ბაღია გაშენებული. ასფალტით გაკრიალებული ქუჩა ისარივით შეჭრილა ვეებერთელა სახლებით გაშენებულ ახალ უბანში. ზევით ფერდობზე ახალი საცხოვრებელი უბანია გაშენებული. მშვენიერი კოტეჯების ეზოში ბაღჩები და შადრევნებია. ავჭალისკენ თუ გასწევთ, ნახავთ მძიმე ინდუსტრიის საწარმოებს, მსუბუქი მრეწველობის ფაბრიკებს. ქალაქის ზღვარი ავჭალასთან მიბჯენილა.

დიდუბე ჩვენი მანჩესტერია. შარშანდელს აქეთ იქაც ბევრი რამ ახალი გაუკეთებიათ: ტრამვაის ფართო ლიანდაგი გაუყვანიათ, ხეივნები გაუშენებიათ, ახალი სახლები აუგიათ. ჩქარა აქ ხიდების აგებას აპირებენ. მაშინ დიდუბიდან უმოკლესი გზით გავალთ დიღმის ველსა და საბურთალოზე.

კრწანისი ისტორიულ - რევოლუციური მიტინგის ადგილი, სადაც დიდი ბელადის ფოლადმა სიტყვამ დაიჭექა, ოქროყანა, ლისი, მცხეთა საქალაქო კურორტების ზონაა, რამდენი რამ გაკეთდა ამ ადგილებში, ვინ მოსთვლის? ფუნიკულორი, თბილისის მშვენება და ტურისტებისათვის ანდამატივით მომზიდველი მალე პატარძალივით გაკოპწიავებული წარმოსდგება ჩვენს წინაშე. კულტურისა და დასვენების პარკი შენდება ახლა იქ.

ორთაჭალისაკენ მშვენიერი სანაპირო ქუჩა გაჰყავთ, ბალნეოლოგიურ კურორტს აშენებენ. ჩაიხანებისა, აღმოსავლური რესტორანებისა და ოპიუმის მოსაწევი ჯურღმულების ადგილას საშვილიშვილო საქმე კეთდება — პირველი სააბაზანო შენობა ააგეს. მომავალში სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და სასტუმროების აგება გადასწყვიტეს. ბაღის გაშენებას იწყებენ. უხსოვარ დროს ირანის შაჰმა აქ სეიდები გამოგზავნა დასასახლებლად. მათთან მოიტანეს ოპიუმის მოწევის ჩვევა და ნგრევის სტიქია. სახელწოდება — „სეიდაბადი“ იმ დროიდან დარჩა.

თბილისის მატიანეში სამი ძირითადი თარიღია აღნიშნული: 499 წელს საქართველოს სამეფო გვარეულობა მცხეთიდან სოფელ თბილისში გადმოსახლდა და ქალაქის გაშენება დაიწყო; 1122 წელს დავით აღმაშენებელმა აღადგინა ველური ურდოების მიერ მრავალჯერ აოხრებული ქალაქი და იგი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად გამოაცხადა; 1921 წელს თებერვლის ისტორიულ დღეს თბილისში ამოვიდა ოქტომბრის დიადი მზე და ქვეყანას სათავეში ბოლშევიკები ჩაუდგნენ.

მეოთხე თარიღსაც აღნიშნავენ მემატიანენი მომავალ საუკუნეთა თაობებისათვის დატოვებულ ფოლიანტებში: 1933 წლის 22 სექტემბერს, როცა საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელმა, ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ** მოგვცა ლოზუნგი — გადავაქციოთ თბილისი სანიმუშოდ კეთილმოწყობილ დედაქალაქადო. ამ თარიღის შემდეგ მანამდე არნახული ტემპებით გაიშალა თბილისის საქალაქო მშენებლობა.

მომავალი ისტორიკოსები იტყვიან, რომ აქაც საქართველოს მშრომელებს აღმოაჩნდათ მტრები, სელჯუკებზე უარესნი და აღმოსავლელ ინკვიზიტორებზე უსაზიზღრესნი, თუმცა ულონონი, მაგრამ ხაზართა ურდოებზე უბოროტესნი, ფურთხის ღირსი თანამედროვე იუდები, რომლებიც მეგობრული ნიღაბით მოგვევლინენ და გვქურდავდნენ. ისინი დღეღამ ხალხის ვნებაზე ფიქრობდნენ, საქალაქო მშენებლობას აჭიანურებდნენ, სახალხო დოვლათს ქარს ატანდნენ, არ სურდათ, რომ სამრეწველო მშენებლობის კვალდაკვალ საბინაო მშენებლობაც გაშლილიყო. ქარხნებს ხომ მუშები უნდა ეყოლოთ! დაე, ამ მუშებს ნუ ექნებათ ბინებიო, ამბობდნენ ტროცკისტ-ბუხარინული გარეწრები. სამშობლოს მოღალატეებმა სახელმძღვანელო პოსტებზე გაძრომაც მოახერხეს. ერთ მშენებლობაზე მუშებს გაგზავნიდნენ, მაგრამ საშენ მასალებს არ გააყოლებდნენ, მეორე მშენებლობაზე კი საშენ მასალებს გაჰგზავნიდნენ, ხოლო მუშებს არ დაიქირავებდნენ.

ისტორია მოწმეა, რომ მავნებლებმა და მოღალატეებმა ვერ გაიხარეს. ხალხის მტრები ამხილეს და გააცამტვერეს. თბილისი გაშენდა, ახლაც შენდება.

თბილისი — ჩვენი დედაქალაქი, ქართული კულტურის ცენტრი და საქართველოს მშრომელთა შემოქმედების ბრწყინვალე ნაყოფი, საქართველოს ბოლშევიკების ციტადელი და ბედნიერი, სტალინური, ორდენოსანი რესპუბლიკის გული.

— გამარჯობა, განახლებულო თბილისო!

◆

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	დადგმის მეორე კვირა **პირველი სიყვარული** დასაწყ. 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ახალი ხმოვანი ფილმი **პეტრე 1-ლი** დასაწყისი საზამთ. 6, საზაფხ. 8-20
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	საზაფხ. შენ. **პეტრე 1-ლი** დასაწყისი 8 ს0 საზამთ. შენ. **პოეტის ყრმობა** დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი ფილმი **შორეულ აღმოსავლეთში** დასაწყ. 6-30
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	საზაფხ. შენ. **არსენა** დასაწყ. 8 ს. საზამთ. შენ. **ჩაპაევი** დასაწ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ, № 222	**მოგზაურობა არზრუმს** დასაწყისი 8 საათზე.
ახალი ამბები	**უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის** ხმოვ. ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 2 და № 3
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი **ცირკი** დასაწყ. 7 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937/38 წლის სეზონი

მუდმივი ადგილების განსაზღვრული რაოდენობის გამო, ბილეთების **შეძენის ვადა გაგრძელებულია მხოლოდ 27 სექტემბრამდე.**

25 სექტემბრიდან დაიწყება მუდმივი ადგილების ბილეთების გაცემა. ხელშეკრულებით დაჯავშნული მუდმივი ადგილების ბილეთების მიღებისას ხელშეკრულებაშივე აღნიშნული ვადების მიხედვით თანხის გადახდა აუცილებელია. უამისოდ ბილეთები არ გაიცემა.

სეზონის გახსნა პირველ ოქტომბერს. პრემიერა ოტელო.

3—3 ს0

თბილისის სახ. უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1937 წ. სექტემბრის 27-სთვის დანიშნული **დოც. ნ. კეცხოველის** დისერტაციის დაცვა ბიოლოგიის მეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად გადატანილია სექტემბრის 25 დღის $2^1/_2$ საათ. დისერტაციის დაცვა შესდგება უნივერსიტეტის კლუბში.

დისერტაციის თემა: **„საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები“.**

ოფიც. ოპონენტები: 1) პროფ. ბუში ნ. ა.
2) პროფ. სოსნოვსკი ნ. დ.

შრომის გაცნობა შეიძლება დეკანატში 12—3 საათამდე.

1232 თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი: **გ. კიქნაძე.**

თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის (ათას მანეთებში)

№№ რიგ.	აქტივი — ანგარიშების დასახელება	თანხა	№№ რიგ.	პასივი — ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	1243	1	საწესდებო ფონდი	1477
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	135	2	სპეცფონდები	20
3	მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბობისა	515	3	რეზერვები	6
4	ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება	22	4	ანგარიშსწორებანი	519
5	საქონელი, მზანაწარმი	38	5	შინასაბალანსო ანგარიშსწორებანი	3
6	გასაყიდად გამოყოფილი საგნები	41	6	საანგარიშო წლის დაგროვებანი	316
7	ფულადი საშუალებანი	184			
8	ანგარიშსწორებანი	75			
9	მომავალი პერიოდის ხარჯები	7			
10	განყენებული საშუალებანი	81			
	ბალანსი	2341		ბალანსი	2341

1936 წლის დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1. სხვადასხვა დანაკარგები	52	1. დაგროვებანი საქონლისა და მზა ნაწარმის რეალიზაციით	362
		2. სხვა დაგროვებანი	6
დაგროვების სალდო	316	დანაკარგების სალდო	—
ბალანსი	368	ბალანსი	368

დირექტორი **ბ. ბოჭორიშვილი.** მთ. ბუღალტერი **ხ. კირაკოსიანი.**

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1202 საქართვ. ადგილ. მრეწვ. სახ. კომ. საბუღალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი **ჯანელიძე.**

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მდივნის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ვ—8341